# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 18 ნოემბერი. 2022 წ. №176 (9514) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge


## „დამჭკნარი ქინძის“ ყვითელი ფოთლები...




იხ. 3 გვ.

## უსამშობლო, უძღებ გვამთა კასტა

## ვერცერთი გაიძვერა ვექილი ვერ მოუძებნიდა გამართლებას ნაცების მოღალატურ არსებობას!

④

### ირაკლი კობახიძე:

## ოლივერ ვარჰეის თავს დაესხა მთელი ოპოზიცია, პირდაპირ წამოსცდათ, რომ უპირისპირდებიან ყველანაირ ძრას კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით!

③

## თბილისის მერია ჯანმრთელობის ცხრა პროგრამას 50-მილიონიანი ბიუჯეტით აფინანსებს!

②



### იციკ მოშე:

## როცა იბადები ებრაელად, ხარ მარადიულ ომში!..

იხ. 8 გვ.

პაკისტანელი „ქილერის“ სამიზნე თბილისში

## საუკუნოვანი სოფელი მივატოვოთ და აქედან გადავსახლდეთ?..

⑦



იხ. 5 გვ.

### ავთანდილ არაბული:

## მურმან ლებანიძის ლექსის უკვდავება

### ქართული ენა ზეცმს მის პოეზიაში...

14 ნოემბერს დიდი ქართველი პოეტის მურმან ლებანიძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

ეს თარიღი სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ, რომელსაც მ. ლებანიძე საუკუნეთა გასაყარზე ხელმძღვანელობდა, და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ერთობლივი საიუბილეო ღონისძიებით აღნიშნეს. მეცნიერებათა აკადემიის დიდი დარბაზი სავსე იყო ქართული პოეზიის ერთგული და მურმან ლებანიძის ხალასი შემოქმედების დამფასებელი საზოგადოებით. მურმანის შემოქმედებისა და პიროვნების, მისი მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკეს გამომსვლელებმა: აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ, ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა, მეუფე ანანია ჯაფარიძემ, რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელმა დავით შემოქმედელმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, პოეტმა ლია სტურუამ, კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა, აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა და სხვებმა. საღამო თავიანთი ოსტატობით დაამშვენეს მსახიობებმა – მურმან ჯინორიამ, ელდინო საღარაძემ და გია ჯაფარიძემ; ისმოდა მ. ლებანიძის ლექსებზე შექმნილი დაუვიწყარი სიმღერები: „მელიქიშვილის გამზირი...“, „უფლისციხესთან...“, „გაზაფხული შემოსულა, ლენ...“ და სხვ. ამ საღამომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მურმან ლებანიძის შემოქმედება უკვდავია და მას ადგილი სამუდამოდ აქვს დამკვიდრებული ქართველი ხალხის გულში...

## ერის გამთლიანება გვარების ერთიანობით იწყება

### სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის ჰიმნი

ქართველნო, თქვენს გენს ლოცვა – კურთხევა,
ფუძის სიმტკიცე, გვარის მრავლობა,
რომ წინაპართა კვალს მიჰყვებოდეს
თქვენი ამაყი შთამომავლობა.
დავდეგთ იქ სადაც გვარიშვილობა
აღორძინდება, მთიდან ბარამდის,
და საქართველო კვალავაც გვეხილოს
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე...
მრავალჟამიერ გვარიშვილობას,
გვარისმრავლობას მრავალჟამიერ!..

მუსიკის ავტორი ჯემალ ადამაშვილი
ტექსტი ვაჟა ნადირაშვილისა

იხ. 6 გვ.



## ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტს ალენ სიმონიანს შეხვდა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს. განიხილეს ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის საკითხები.**

აღინიშნა, რომ საქართველოსა და სომხეთის პარლამენტებს შორის თანამშრომლობა მუდმივად პოზიტიურ დინამიკაში ვითარდება, რაც კეთილმეზობლურ ურთიერთობებს კიდევ უფრო აძლიერებს. შეხვედრაზე ისაუბრეს რეგიონში არსებულ ვითარებაზე. ხაზი გაესვა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მნიშვნელობას და ითქვა, რომ ყველა მხარის საერთო ინტერესშია ვითარების დროული დეესკალაცია და დიალოგის განახლება გადაუჭრელი საკითხების მოსაგვარებლად. აღინიშნა, რომ ამ მხრივ საქართველოს მიერ შეთავაზებული მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივა შეიძლება მყარი საფუძველი გახდეს, რათა მხარეებმა შეძლონ ერთმანეთის მიმართ ნდობის აღდგენა.

## საქართველოსა და სომხეთის პარლამენტარებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

**საქართველოს პარლამენტში, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტსა და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის მეცნიერების, განათლების, კულტურის, დიასპორის, ახალგაზრდობის და სპორტის კომიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს.**

საქართველოს პარლამენტის მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერა კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ელისო ბოლქვაძემ, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის მხრიდან კი – მეცნიერების, განათლების, კულტურის, დიასპორის, ახალგაზრდობის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ სისაკ გაბრიელიანმა. ელისო ბოლქვაძის შეფასებით, ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანს ორ კომიტეტს შორის საპარლამენტო თანამშრომლობას, ხელს შეუწყობს კულტურული კავშირების გაღრმავებას, რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას და სამშვიდობო პროცესების გააქტიურებას.

საქართველოსა და სომხეთის პარლამენტების კომიტეტებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე ალენ სიმონიანი ესწრებოდნენ.



# თბილისის მერია ჯანმრთელობის ცხრა პროგრამას 50-მილიონიანი ბიუჯეტით აფინანსებს!

**თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და საქართველოში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის ვიზიტს გამოეხმაურა.**

მისი თქმით, საზოგადოებამ ევროკომისრისგან საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდამჭერი მკაფიო გზავნილები მოისმინა, რაც ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის დანახვას ნიშნავს.

ოლივერ ვარჰეის პოზიტიური გზავნილები არის დასტური იმისა, რომ საქართველო ევროინტეგრაციისკენ მიმავალ სწორ გზაზე დგას.

მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიაზეც ისაუბრა, რომელიც თბილისის საკრებულოს უკვე გადაეგზავნა. დოკუმენტში ფინანსთა სამინისტროსგან, ცენტრალური ხელისუფლებისგან მისაღები დამატებითი ტრანსფერი ასახული არ არის.

**„ბიუჯეტის პირველადი ვერსია მოიცავს მხოლოდ მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელ მიმდინარე ხარჯებს და გარდამავალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მასში არ არის ასახული პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2023 წელს, დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა რაიონსა და უბანში. მომდევნო ერთი თვის განმავლობაში, გვაქვს შესაძლებლობა, აქტიურად ვიმუშაოთ ფინანსთა სამინისტროსთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან, დამატებითი დაფინანსების მიღების მიზნით, რათა შევძლოთ იმ პროექტების განხორციელება, რომელიც დედაქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“.**

კახა კალაძემ საზოგადოებრივ ტრანსპორტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ისნის რაიონში, ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაციის შემდეგ, საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა 169-ით მეტი ბრუნი განახორციელა.

დედაქალაქის მერმა თბილისში არსებული პრობლემური სატრანსპორტო კვანძების სრულად მოწესრიგება ვიცე-მერს, ირაკლი ხმალაძესა და ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს, ვიქტორ წილოსანს დაავალა. თბილისის მერის თქმით, სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, ყველა პროექტი ხორციელდება ისე, რომ ათეულ წლებს გაუძლოს და სამუშაოების ჩატარება გარკვეული დისკომფორტის გარეშე შეუძლებელია.

**სხდომაზე ყურადღება ასევე ჯანდაცვის მიმართულებით მიმდინარე პროგრამებზეც გამახვილდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია ცხრა მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებს, რომლის წლიური ბიუჯეტი 50 690 900 ლარია.**



**თბილისის მერის თქმით, აღნიშნული პროგრამების საშუალებით, უამრავ ადამიანს აქვს ხელშეწყობა და თანადგომა, როგორც მერიის შესაბამისი სამსახურების, ასევე რაიონული გამგეობების მხრიდან.**

**თბილისის მერმა კიდევ ერთხელ მიაწოდა საზოგადოებას ინფორმაცია ჯანდაცვის პროგრამების შესახებ, რომელსაც დედაქალაქის მერია ახორციელებს:**

**სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარე წელს დაიწყო ახალი პროგრამა, რომელიც ყოველწლიურად, ერთ მოქალაქეზე 500 ლარის ღირებულების არამატერიალიზებული ვაუჩერის გაცემას ითვალისწინებს. პროგრამის ბიუჯეტი 10 000 000 ლარია. დღეისთვის, პროგრამით 20 583-მა პენსიონერმა ისარგებლა. დაფინანსებულია 47 501 შემთხვევა;**

**მიმდინარე წელს, „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების პროგრამით“ განსაზღვრულ მომსახურებას დაემატა მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება და დღეისთვის, მერია 113 მოქალაქეს აფინანსებს. ერთი პაციენტისთვის წელიწადში 25 000 ლარია გათვალისწინებული, პროგრამის წლიური ბიუჯეტი კი 1 796 500 ლარს შეადგენს;**

**„ტრანსპლანტაციის პროგრამის“ ფარგლებში, მიმდინარე წლის დასაწყისიდან, 45 მოქალაქეს დაუფინანსდა ძვლის ტვინის გადანერგვა და მასთან დაკავშირებული კვლევები, ხოლო ხუთ მოქალაქეს ღვიძლის გადანერგვა. ძვლის ტვინის გადანერგვას მერია 10 000-დან 235 000 ლარამდე თანხით აფინანსებს, ხოლო ღვიძლის გადანერგვას 70 000 ლარით. პროგრამის ბიუჯეტია 8 000 000 ლარი;**

**დაავადებათა სკრინინგის პროგრამის“ ფარგლებში, მერიამ 117 024 შემთხვევა დააფინანსა, მათ შორის, 101 865 შემთხვევას თბილისის მერიის ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრი მოემსახურა. დედაქალაქის მერია მოქალაქეებს მოუწოდებს, კიბოს პრევენციის მიზნით, ჩაიტარონ სკრინინგი, რადგან დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენა სიცოცხლის გახანგრძლივებისა და სრულად განკურნების საწინდარია. პროგრამის ბიუჯეტი 2 000 000 ლარს შეადგენს;**

**„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამით“, ძვირადღირებულ პრეპარატებს 259 მოქალაქე იღებს. მედიკამენტები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის 100%-ით, ხოლო სხვა შემთხვევაში, 80%-ით ფინანსდება. პროგრამის ბიუჯეტი 6 540 000 ლარს შეადგენს;**

**დღეისთვის, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამით, 1 550 ბავშვი და მოზარდი სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ მერიის პროგრამაში თავდაპირველად 325 ბავშვი და სერვისის განმახორციელებელი ორი დაწესებულება ჩაერთო. წლიდან წლამდე, ექვსჯერ გაზრდილი ბიუჯეტისა და მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობის მატების პარალელურად, პროგრამაში ჩართულ პირთა რიცხვი ხუთჯერ გაიზარდა. პროგრამის ბიუჯეტია 6 968 400 ლარი;**

**„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების პროგრამის“ ფარგლებში, 459-მა ბავშვმა და ზრდასრულმა ისარგებლა. პროგრამის ბიუჯეტი 800 000 ლარს შეადგენს;**

**თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის“ პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ინფექციის მართვას ახორციელებს, მათ შორისაა, წითელა, წითურა, ყბაყურა, ტუბერკულოზი. ცენტრმა ამ მიმართულებით, 10 თვეში 77 888 კვლევა ჩაატარა. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 586 000 ლარს;**

**თბილისის მერიისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სამედიცინო საჭიროებებზე ზრუნვა და შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, წლის დასაწყისიდან 12 571 შემთხვევა დაფინანსდა. თბილისის მერია მოქალაქეთა მოთხოვნებს ოპერაციების, კვლევებისა და მედიკამენტების შესახებ, საქართველოსა და საზღვარგარეთ სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს. უპირატესობა ენიჭებათ პრიორიტეტულ ჯგუფებს. ქვეყნის მასშტაბით, სამედიცინო დაწესებულებებში 12 431, ხოლო საზღვარგარეთ – 140 შემთხვევა დაფინანსდა. პროგრამის ბიუჯეტია 14 000 000 ლარი.**

საუბრის დასასრულს, თბილისის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი, ზაურ შენგელია წარუდგინა, რომელიც თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში 2003 წლიდან მუშაობს.

    

# უსამშობლო, უძღებ გვამთა კასტა

**„თუ მიხეილ სააკაშვილი ნეიტრალური არ იქნება, პარტიის არჩევნები აზრს დაკარგავს, რადგან აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენი მხარდამჭერებისა და პარტიის წევრებისა მიშას შეხედულებას გაიზიარებს და არჩევნებს აზრი არ ექნება“** – ეს სიტყვები ნაცბანდის ერთ-ერთ მთავარ „საყრდენს“, ფორმალურად პარტიის მეორე პირს, პეტრე ცისკარიშვილს ეკუთვნის.

გაიგეთ, რა ხდება, ხალხო?! 50/50-ზე ალბათობის მარცხის შიშით შეპყრობილი „გენმდივნის“ გოდება (სხვა შეფასების პოვნა გამიჭირდება) ჩვეულებრივ, ხალხურ ენაზე რომ მოვთარგმნოთ – პარტიულ არჩევნებამდე, **ნახევარი მილიონი ხმის მომტანი მამა-მარჩენალის კრინტი არ გავიგონოთ, მაგისი სუსი არ იყოსო(!)...**

წლების მანძილზე ერთადერთ და გაუმეორებელ მამა-წინამძღოლად წოდებულის ერთი ხელის მოსმით უარმყოფელი პეტრეს მიერ ამოყრანტალებული **ამ ერთი წინადადებიდანაც ჩანს, რა კატასტროფის წინაშეც იმყოფება ეს უსამშობლო უძღებ გვამთა კასტა.**

ძალიან მაგარი ამბავია, ძა-ლი-ან!.. **როგორც „ლაზურნი“ ბუბას მეგობარი რუბიკა იტყოდა –– „ეს ინჩერენ ანუმ?!.“**

დღევანდელი გადასახედიდან უკვე ყველა ნათლად ხედავს, რომ **საფიცარი ლიდერის „ალალ და უსაყვედურო“ ოთხ კედელში მოხვედრიდან მოკლე დროში, კეზერას „სასტავმა“ თანდათან, აფიშირების გარეშე** (რა იცი რაში გამოგვადგება) **დაიწყო მისგან, როგორც უსარგებლო ტვირთისგან, დისტანცირება.** რაც შეეხება **მელიას,** მას **„კიდევ ერთხელ უღალატა ინტელექტმა“** და კეზერასგან განსხვავებით, **ღიად და საჯაროდ უგანა გისოსებთან ვერშეგუებულ მაღალღეროვან ჩამქრალ შუქურას,** როცა პირდაპირ ეთერში დააბრეხვა – „ეგ რა ჩემი მეგობარიაო“, თანაც ისე გამოუვიდა (ინტონაციით და გამომეტყველებით) – საქმეს სჭირდება, თორემ ჩემდა თავად მაგასთან ჭიქის ამწევის ყველა კაიო...




კაცი ბჭობდაო და... ამ ულმერთოების დოლში, შედეგის ინტერესიდან გამომდინარე, **ყველა მხარის („პუსტა-პუსტა“ კანდიდატების ჩათვლით) „მთავარ საპროგრამო განაცხადს“ ბელადის განთავისუფლებისთვის ბრძოლის პირობა წარმოადგენს.** ნეტა პეტრე „გენმდივანმა“ თვითონ მოიფიქრა, თუ ვინმე „უფრო ჭკვიანმა“ უკარნახა, რომ ამ „ტვინების „პოლიტიკურ“ ჭიდილში“, რომლის წითელი ხაზიც „პოლიტპატიმრების“ გამოხსნაზე გადის, **თურმე დიადი მიზნის ადრესატს არაფერი არ უნდა ეკითხებოდეს(?).**

კიდევ უფრო რომ დავაკონკრეტოთ – თურმე „ქართული სახელმწიფოს დამაარსებელმა“ ვერ უნდა გაბედოს იმაზე ფიქრიც კი, თუ რომელ კანდიდატს უფრო ენდობა მისი პირადი თავისუფლებისთვის „ბრძოლის“ საქმეში: **ქვედა დინებებით მოსრიალე „პროევროპელ“ (ანუ მთელი ევროპის პენსიონერების რისხვა) კეზერაშვილს, „აზრების გიგანტ“ მელიას, თუ „ოჯახის ფავორიტ“ ჩალაძეს** (ვაი, საქართველო) – მართლა მაგარი ამბავია...

**ბიძინა დვალი**

16.11.2022 წ.

**P.S.** – ეს ყველაფერი იქით იყოს და... ჩემო მკითხველო, ჩვენ მაინც ხომ კარგად ვიცით, რომ ზემოთ აღწერილი გადახტომა-გადმოხტომები თამაშია, უნიჭო თამაში, რადგან დიდი ხნის წინ გაიშიფრა მისი არსი. ნაცსექტის ბედის ირონია იმაშია, რომ პარტიად წოდებული ამ მარიონეტების თეატრის სახელით გადაწყვეტილებების მიმღები სუბიექტი არა აეროპორტის გზაზე არსებული ოფისიდან, არა ლონდონიდან, არა „ვივამედის“ პალატიდან, არამედ ორმოცდაათი ვარსკვლავით დაცული დიღმის რეზიდენციიდან მართავს მთელ ამ პროცესს და რასაც მისი დღევანდელი დიასახლისი, დეიდა კელი ბრძანებს (როგორც ადრე ამას მისი წინამორბედები აკეთებდნენ), ისე დაისმება წერტილები ყველა გადაწყვეტილების ბოლოში.

შარშან, ოქტომბერში, მორიგი ჩავარდნილი რევოლუციის შემდეგ მათ მიერ ჩამოწერილი „დამჭკნარი ქინძი“ ჩაერევა თუ არ ჩაერევა ოცდაათი წლის მანძილზე ნაძერწი სატელიტების „რებრენდინგის“ კარგად გასაღების მიზნით დაგეგმილ პროექტში, ესეც მაღალი თეთრი კედლების სიღრმიდან წამოსულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

**ბ. დ.**

---

## ოლივერ ვარჰეი: საქართველოს პარლამენტი აქტიურად მუშაობს 12 პრიორიტეტის შესრულებაზე

ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი, **ოლივერ ვარჰეი** საქართველოში ვიზიტს Twitter-ზე ეხმიანება.

**„თბილისში შევხვდი პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს და ყველა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელს. განვიხილეთ 12 პრიორიტეტის განხორციელების მდგომარეობა. დამაიმედებელი იყო იმის განხილვა, რომ პარლამენტი აქტიურად მუშაობს პრიორიტეტების შესრულებაზე. საქართველოს პარლამენტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს“,** – წერს ვარჰეი.



## ირაკლი კობახიძე: ოლივერ ვარჰეის თავს დაესხა მთელი ოპოზიცია, პირდაპირ წამოსცდათ, რომ ეწინააღმდეგებიან ყველანაირ ძვრას კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით!



**...აშკარად დავინახეთ, რომ გამოვიდა ევროკომისარი, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი გაფართოებაზე, მათ შორის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე, გამოვიდა პოზიტიური გზავნილებით და თავს დაესხა მთელი ოპოზიცია!**

**„ვერც მოითმინეს, მათ პირდაპირ წამოსცდათ, რომ ეწინააღმდეგებიან ყველანაირ ძვრას კანდიდატის სტატუსის მიღების მიმართულებით. მათ აქვთ ერთადერთი პოლიტიკური ინტერესი, რომ სარგებელი ნახონ კანდიდატის სტატუსის არმინიჭებიდან, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს. სწორედ ამიტომ არ უჭერენ მხარს 12 რეკომენდაციის ფარგლებში გათვალისწინებულ რეფორმებს, შესაბამის საკანონმდებლო ინიციატივებს“.**

სალომე სამადაშვილმა განაცხადა, რომ ოლივერ ვარჰეი ევროკომისიაში ვიქტორ ორბანის პარტიის მიერ არის წარდგენილი, ორბანი კი პუტინის მოკავშირეა. ეს განცხადება ევროკომისარზე თავდასხმად შეფასდა სახელისუფლებო პარტიაში და ითქვა, რომ მისი შინაარსი ანტიდასავლურია.

### ნათელია, რას ემსახურებიან კეზერაშვილი, ხოშტარია და მათი პარტნიორები...

ირაკლი კობახიძეს კითხვა დაუსვეს, საააგენტო „კვირას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც, დავით კეზერაშვილისა და ბიზნესმენ ვანო ნაკაიძეს ეკუთვნოდათ გემი, რომელიც ბათუმში შემოვიდა და, რომელზეც ელენე ხოშტარია საუბრობდა, რომ შემოიტანეს რუსული ნავთობი.

**„თავისთავად, სქემა არის ძალიან საინტერესო. შემოდის გარკვეული გემი, ეს გემი დაკავშირებულია კეზერაშვილთან. შემდეგ, კეზერაშვილის მიერ დაფინანსებული ხოშტარია ამ გემთან დაკავშირებით ატარებს ბრიფინგს, რომ ამით ხდება სანქცირებული ტვირთის შემოტანა საქართველოში. ეს სქემა არის ძალიან საინტერესო, მარტივად არის შეფუთული ის მიზანი, რომელიც იდგა ამ ყველაფრის უკან. სცადეს, რაღაცნაირად დაელაგებინათ, თითქოს საქართველო უზრუნველყოფდა რუსეთისთვის სანქციების გვერდის ავლას, სინამდვილეში, ამ ყველაფერს აკეთებდა კეზერაშვილი. ეს ყველაფერი ალბათ ნათელია საზოგადოებისთვის, არის უმარტივესი სქემა, რომელიც გაიშიფრა, რაზეც დამატებითი მტკიცებულებები იქნა წარმოდგენილი. ყველა ძალიან კარგად ხედავს, რას ემსახურებიან საქართველოში კეზერაშვილი, ხოშტარია და მათი პარტნიორები“,** – განაცხადა კობახიძემ.



# ვერცერთი გაიძვერა ვექილი ვერ მოუძებნიდა გამართლებას ნაცების მოღალატურ არსებობას!



**დავით კეზერაშვილს პოლიტიკურ გეგმებზე საჯაროდ არ უსაუბრია, თუმცა საგანგებო განცხადებაში წერს, რომ მხარს დაუჭერს ყველას, ვინც ხელისუფლების ცვლილების პროცესშია ჩართული. მსჯავრდებულ ექს-თავდაცვის მინისტრს რომ პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებს, ამას ადასტურებს ნატოში ვაშინგტონის ყოფილ წარმომადგენელთან კურტ ვოლკერთან შეხვედრა, რომელიც ლონდონის ერთ-ერთი კაფეში შედგა.**

ვოლკერი, რომელიც სენატორ მაკკეინის ბიუროში მაღალ თანამდებობას იკავებდა, საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა. მმართველ გუნდში დღეს თქვეს, რომ ამ ფაქტმა თვალსაჩინო გახადა, თუ ვინ დებს პოლიტიკურ ფსონს კეზერაშვილზე, რომელიც რამდენიმე თვეა შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე საგრძნობლად გააქტიურდა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, სააკაშვილის, კეზერაშვილის მეგობრები ვერ იქნებიან საქართველოს მეგობრები.

**„მგონი, დღეს არავის ეჭვი არ ეპარება, რა როლი აქვს დავით კეზერაშვილს ქართულ პოლიტიკაში. ქართულმა საზოგადოებამ იცის მისი წარსული, რომელიც დაკავშირებულია ქართული არმიის ხარჯზე გამდიდრებასთან. იცის მისი აწმყო, ეს არის პირდაპირ ჩარევა პოლიტიკაში. ოპოზიციის წარმომადგენლებიც პირდაპირ აღიარებენ, რომ დავით კეზერაშვილის ფული არის არასამთავრობო სექტორში, მედიაში, პოლიტიკასა და პარტიებში და ამ ფულით მანიპულირებს ის მედიასაც, არასამთავრობო სექტორსაც და პარტიებსაც.**

**ეს ის ფულია, რომელიც წაართვეს ქართულ ჯარს, ქართველ ხალხს, ომამდე რამდენიმე თვით ადრე ფურცელზე ჩატარებულ ტრენინგზე, რომელშიც არც ერთ ჯარისკაცს არ მიუღია მონაწილეობა. როცა ასეთ ადამიანთან, რომლის ბრალეულობაც დადასტურებულია ქართული მართლმსაჯულების მიერ, ასეთ სალონურ ურთიერთობაში ხდება შეხვედრები, გასაგებია ხომ, რა შეიძლება იყოს საუბრის თემა, ეს თავისთავად უკვე დიდ კითხვის ნიშნებს აჩენს, რა ხდება იმ ხალხთან დაკავშირებით, რომლებიც საკუთარ თავს ეძახიან საქართველოს მეგობრებს“,** — განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

* * *

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ როგორც სააკაშვილი, კეზერაშვილი ზუსტად იმ ჯგუფის ტიპური წარმომადგენელია, რომელმაც წარმოშვა, გააჩინა და პოლიტიკაში შემოიყვანა. ამ ჯგუფს მოეკითხებოდა მხოლოდ იდეის ერთგულება და არა განათლება და პროფესიონალიზმი. ანალოგიური მოვლენაა კეზერაშვილი, რომელსაც ფულის კეთების ნიჭი აღმოაჩნდა. უცებ გახდა მილიონერი და მერე გაამრავლა ეს თავისი მილიონები.

**„თხა რომ გაუშვა ევროპაში, თუკი მას მიიღებენ დიდი პატივით და ის ყველგან „მეეეეს“ დაიძახებს და უარყოფს საქართველოს როგორც ქვეყანას, ესეც დამაზიანებელი იქნება. გააჩნია, როგორ იღებენ, თორემ ვინ რას აკეთებს მეორეხარისხოვანია. ვოლკერი მარტივი ფიგურა არაა, ერთი წელი იყო ნატოში ამერიკის წარმომადგენელი და მეორე მხრივ ჰქონდა გარკვეული გავლენები ტრამპის ადმინისტრაციასთან, უკრაინასთან და ა.შ. კომპრომატს ეძებდა ბაიდენზე. ასეთი მოუსვენარი ტიპია, ინტრიგებში ადვილად ებმება, რაც მთავარია, მერე ადვილად სკდება ეს ინტრიგები და საჯარო მსჯელობის საგანი ხდება.**

**გასაკვირი არ არის, რომ მას კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ჰქონდეს, თუ დავფიქრდებით იმაზე, როგორი ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს რუსეთთან. თუ დავაკვირდებით, რუსეთთან ნაკლებად, ან ფორმალურად დაპირისპირებული ადამიანები ძალიან ხშირად ებრძვიან საქართველოს. არის მეორე ჯგუფიც — საქართველოს ებრძვიან სწორედ რუსეთთან დაპირისპირებულები, რომლებიც ვერ ხედავენ თვითონ საქართველოს სპეციფიკას რუსეთთან ბრძოლაში. ეს ის ნაწილია, ზედაპირული შთაბეჭდილებით რომ მოქმედებს. ვოლკერს ზედაპირულობის ბრალდებას ვერ წავუყენებთ, მაგრამ ბევრ რამეშია გახვეული და იქიდან შეიძლება ინტრიგის რაღაცა მორიგი ხაზი უნდა ამოწიოს და ამით არის დაინტერესებული, რასაც არ გამოვრიცხავ“,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.




**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, დავით კეზერაშვილი მსჯავრდებულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის არის ტელეიმედის საქმე. კერძოდ, ჯოზეფ ქეის ხელისუფლების სახელით დაუკავშირდა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით კეზერაშვილი, შეხვდა და პირდაპირი მუქარით დაიყოლია ტელეკომპანიის დათმობაზე, იმ ერთადერთი პირობით, რომ მას გიგი უგულავა აუნაზღაურებდა 10 მლნ აშშ დოლარის გაწეულ ხარჯებს. გამოძიება აცხადებს, რომ უგულავას მითითებით, ჯოზეფ ქეიმ თავისი წილი გადასცა კეზერაშვილის კონტროლს დაქვემდებარებულ, პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „ბორდეხ ლიმიტედ“-ს. ამ საქმეზე კეზერაშვილს ბრალად ედება ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გათეთრება და უკანონო შემოსავლის მიღება, ასევე მითვისება-გაფლანგვა.**

ამასთან, კეზერაშვილი მსჯავრდებულია კიდევ ერთ საქმეზე. კერძოდ, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა 12.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ქრთამი აიღო 2007 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში ეთილის სპირტის კონტრაბანდული სქემის მფარველობისთვის, რის გამოც გადასახადების დამალვის სახით სახელმწიფომ 49.39 მილიონი ლარი იზარალა.

კეზერაშვილმა ზუსტად, ანალოგიურად, მუქარით ჩაიგდო ხელში მამა-შვილ თამაზ და ზურაბ ნიჟარაძეების კომპანია „BIMEDIA INVEST MENST LIMITED“. კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ეწეოდა ნავთობპროდუქტების გემებიდან რკინიგზის ვაგონებში გადატვირთვას. კეზერაშვილის სახელს უკავშირდება ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კომპანია შპს „უნიგრუპი“, რომლის 50%-იან წილსაც ფლობდა. „უნიგრუპს“ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს 2010-2011 წლებში გამოცხადებული 61 ტენდერიდან 82% მოგებული აქვს.

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომს, სწორედ ომის შემდეგ დავით კეზერაშვილი ხდება მილიონერი. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში დავით კუხალაშვილი ფიქრობს, რომ დაშვებულია შეცდომა, როდესაც ხელისუფლებამ არ გააანალიზა საომარი მოქმედებების პროცესში და შემდგომ ჩატარებული მნიშვნელოვანი სახის ფინანსური ოპერაციები. მისი თქმით, ამ პროცესში ყველაზე ცუდია კიდევ ერთი გარემოება — სად და რამდენად ლეგალურად დაიხარჯა ის ფინანსური შემოდინებები, რომელიც საქართველოში შემოვიდა აგვისტოს ომის შემდეგ 2008 წელს.

**„უნდა გავაანალიზოთ მისი ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდი და მისი აღმასვლა, მსგავსად სოსო გოგაშვილისა. პარალელების გავლება შეგვიძლია ამ ორ შემთხვევას შორის. გოგაშვილისა და კეზერაშვილის იერარქიული აღმასვლა ჰგავს ერთმანეთს იმიტომ, რომ არანაირი დამსახურება და არანაირი იერარქიული წინსვლა კეზერაშვილს არ უნდა მისცემოდა, ისევე როგორც გოგაშვილს.**

**კეზერაშვილი ჩვეულებრივ იყო იუსტიციის სამინისტროში სააკაშვილის თანაშემწე, ამის შემდეგ გადადის ფინანსთა სამინისტროში, ძალიან მალე ხდება თავდაცვის მინისტრი. ასეთი სწრაფი ტემპით ასეთ მაღალ სიმაღლეზე ვერ უნდა ასულიყო. აუცილებლად უნდა ვკითხოთ პატიმარ სააკაშვილს, რის საფუძველზე მიიღო მან ასეთი გადაწყვეტილება და ზოგადად, ხომ არ იყო ჩვენი ტიპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი „ზარი ზემოდან“ თხოვნით, რომ კონკრეტული პირი უნდა დაწინაურებულიყო ასეთ იერარქიაზე? მაღალი ალბათობით, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ კეზერაშვილის საქართველოში შემოსვლა და მოღვაწეობა დაკავშირებულია უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურთან“,** — აცხადებს **დავით კუხალაშვილი.**

სამხედრო ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ კეზერაშვილმა თავდაცვის პოლიტიკის სრული კრახი წარმოაჩინა აგვისტოს ომში. როგორც ანალიტიკოსი ამბობს, იმ წლებში ქვეყანაში იყო ელიტარული კორუფცია, შესაბამიად, კეზერაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, სააკაშვილი შეეცადა მოეხდინა პოლიტიკური რეპრესიები შეიარაღებულ ძალებზე 2008-2009 წლებში, რათა როგორმე კეზერაშვილის დანაშაული გაემართლებინა.

**„კეზერაშვილი ახლა ცდილობს გაათეთროს თავისი არალეგალური შემოსავლები. ასევე საუბარია — „ნაციონალური მოძრაობის“ სახით. პოლიტიკური პარტიები და ტელევიზიები ეს არის ყველაზე კარგი ვარიანტი გაათეთრო ის შავი ფული, რომელიც მოიპოვა.**

**რაც შეეხება ბრალდებას, რომ კეზერაშვილი უცხო ქვეყნის აგენტია, ასეთ ბრალდებებს ცოტა ფაქიზად უნდა მოვეკიდოთ, მყარი მტკიცებულებაა საჭირო. მე შემიძლია გითხრათ, რომ ვანო მერაბიშვილი იყო რუსეთის სპეცსამსახურების გავლენის აგენტი და დღემდე ასეთად რჩება, ამის კონკრეტული ფაქტები გამაჩნია და ეს შემიძლია დავადასტურო, რადგან მაქვს მტკიცებულება, რაც არ მაქვს კეზერაშვილის შემთხვევაში“,** — აღნიშნა **ვახტანგ მაისაიამ.**

გენშტაბის ყოფილი უფროსის, ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ მრჩევლის, ვახტანგ კაპანაძის განცხადებით, დავით კეზერაშვილი თავდაცვის სამინისტროში სრულიად შემთხვევით მოხვედრილი ადამიანია. მინისტრი უნდა იყოს პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ ელემენტარული სამხედრო ცოდნა უნდა ჰქონდეს. კეზერაშვილი არც პოლიტიკური ფიგურა იყო და არც სამხედრო.

**„ჩვენ, საერთოდ, საოცრებათა ქვეყანაში ვცხოვროთ, კუსტურიცას ფილმივით ვართ!... ომში წაგებული პიროვნებები დადიან და მართლა ჰგონიათ, რომ ომი მოიგეს და რუსებს ცხვირიდან ძმარი ადენინეს, როგორც თვითონ აცხადებენ... მაშინდელი დაზვერვის უფროსი, ბათუ ქუთელია ლექციებს კითხულობს დაზვერვაზე, რომელსაც ყველაფერში ჩავარდნა ჰქონდა. 2008 წელს ომში ეგ და კეზერაშვილი რუკებს უყურებდნენ, თითქოს რამე ესმოდათ. ვინ დაისაჯა? ომი წავაგეთ, მაგრამ ვიძახით, რომ ომი მოვიგეთ, მერე რა, რომ კოდორი წაიღეს! მერე რა, რომ გორამდე ჩამოვიდნენ, მაგრამ თბილისი ვერ აიღეს, თითქოს ვიბრძოლეთ თბილისთან და უკან დავახევინეთ ამ ბრძოლაში! რომელი მაშინდელი მაღალჩინოსანი გადადგა, მოიკითხეთ სად არიან მაშინდელი სამხედრო მაღალჩინოსნები, ვისაც ეხებოდა დაგეგმარება და ასრულება. ასეთ პარადოქსებში ვცხოვრობთ და კეზერაშვილი გიკვირთ?“,** — აცხადებს **კაპანაძე.**

**თამთა ქარჩავა**



# მურმან ლებანიძის ლექსის უკვდავება

(პირველი გვერდიდან)

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი ქართული პოეზიის ახალი აღმავლობით აღინიშნა. ეროვნული მწერლობის ცოცხალი კლასიკოსების გვერდით ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდა ავტორები, რომელთაც სრულიად ახალი თემები, ფორმები და ინტონაციები მოიტანეს ქართულ მწერლობაში. იმისათვის, რომ მცირედით მაინც აღვადგინოთ და შევიგრძნოთ იმ ეპოქის სუნთქვა, სათქმელს 100 წლის იუბილარი მურმან ლებანიძის უმცროსი მეგობრის, უახლესი ქართული ლექსის ერთ-ერთი გამორჩეული ნოვატორის, ტარიელ ჭანტურიას ერთი – კეთილი ირონიით გამსჭვალული სტროფით დავიწყებთ:

**– ვისი არის, ხომ არ იცი, ეს ლამაზი ანანასი?**
**– როგორ – ვისი? – ან მურმანის, ან მუხრანის, ან ანასი.**

ეს სტროფი ერთგვარად აცოცხლებს ჩვენში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სისხლსავსე შემოქმედებით გარემოსა და პერიპეტიებს, ხოლო მისი ქვეტექსტი ალბათ დამატებით განმარტებას არ საჭიროებს.

რაკი დასახელებულ ტრიადაში ანა კალანდაძის ფიგურას განსაკუთრებული ადგილი უკავია, ასევე ლოგიკურია, თუ სათქმელთან კიდევ უფრო ახლოს მისასვლელად სწორედ ამ ფაქტორს გამოვიყენებთ. კერძოდ, იუბილარის თანამედროვეთაგან ანა კალანდაძე ყველაზე საიმედო დასაყრდენია, ვისი მეშვეობითაც შეიძლება ეპოქის ობიექტური და პირუთვნელი ხედვა განვიცადოთ.

მიზეზი ამისა მარტივია:

ანა კალანდაძემ ერთპიროვნულად შემოსაზღვრა ერთგვარი შემოქმედებითი ენგადი, რომელთან სიახლოვისა და ზიარების ნებასაც იგი საკმაოდ უკომპრომისოდ არეგულირებდა. ამ განკერძოებულობას, შემოქმედებითი ბუნების გარდა, უთუოდ განაპირობებდა ისიც, რომ მას ლამის დებიუტიდანვე მოუხდა ცოცხალი კლასიკოსის დიდი ტვირთის ტარება. ამიტომაც მისი ამ განმხოლოებული გადმოსახედიდან კარგად ჩანს იმდროინდელ ხელოვანთა (ანუ – არა მხოლოდ სიტყვის ოსტატთა) თავისებური განდასება. ანასთან დაახლოებულმა პირებმა იცოდნენ, რომ ამ შემოწერილ რკალში ერთი „გარე“ ადამიანის მოხვედრაც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ მას გარეშეთაგან საგრძნობლად მოეზღუდა თავი. მაგრამ ცალკეული გამოხმაურებებიდანაც და რამდენიმე საერთო ფოტოდანაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ გულგახსნილია იგი მურმან ლებანიძესთან.

ნიშანდობლივია, რომ მურმანის ყველა საიუბილეო თარიღი ანამ გულითადი მილოცვით აღნიშნა.

1972 წელს მურმან ლებანიძეს 50 წელი შეუსრულდა. „დღეგრძელობა შენს „შვიდფერ მუზას“ – ამგვარ მისალმებას აქვეყნებს ანა კალანდაძე, იმგვარად უშუალოსა და გულთბილს, როგორიც, შეიძლება ითქვას, სხვას არავის რგენია პოეტის თანამედროვეთაგან:

**„ჩემო მურმან! მე შენი კეთილი გული მაგონდება ამ დღეებში და ის თბილი, ალერსიანი შუქი, შენი უბოროტო სულიდან რომ აწყდება ფართოდ განმარტებულ შენს მომწვანო თვალებს და მეუბნება ხოლმე, თუ მეჩურჩულება: „ყოჩაღად, უფრო ყოჩაღად, უფრო გაბედულად!“ ბევრი წვრილმანიც მოვიგონე ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი მეგობრობიდან... ეს წვრილმანები ხომ უფრო სრულად წარმოაჩენენ შენს რაინდულ პიროვნებას, პიროვნებას ერთს, მთლიანს, მტკიცეს და განუყოფელს!**

**უღალატო მეგობრობა იცი, ჩემო მურმან...**

**სათნოების მაღალი კოცონი შენში ულმობლად ანადგურებს ეგოიზმის ჩხირებს – კოხის ჩხირებზე უფრო ძლიერთ და დაუმორჩილებელთ.**

**არავის გაუგონია შენი წუწუნი და ჩივილი შენს სატკივარზე – შენი ვაჟკაცური თავმოყვარეობა არ გაძლევს ამის უფლებას...“**

ანა კალანდაძემ ამ რამდენიმე წინადადებაში, როგორც სჩვეოდა, მცირედით უფროსი მეგობრის ბევრი ძირითადი ნიშანი გამოკვეთა – გარეგნულიც და შინაგანიც: გულითადობა, უბოროტო სული, თანადგომისა და მეგობრობის ნიჭი, სიმართლის ერთგულება, რაინდული, მთლიანი და განუყოფელი პიროვნება... განსაკუთრებულია მინიშნება პირად ტკივილთა დაძლევის უნარზე...

მურმან ლებანიძის ცხოვრება საბედისწერო განსაცდელთა ერთი უწყვეტი რიგია; როგორც თვითონ იტყვის, რამდენჯერმა მოკვდა... მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა ამ ბრძოლაში. იგი 19 წლისა აღმოჩნდა ფრონტის წინა რიგებში (**„ჩემი საწყალი ცხრამეტი წელი ამ უდაბნოში მყავს დამარხული“**). კრასნოდართან ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს, მძიმედ დაჭრილმა გამოაღწია ცეცხლის ხაზიდან... ამას მოჰყვა ავადმყოფობა, რომელზეც ანა მიანიშნებს, და თუ არა ჭაბუკი შემოქმედის სულის სიმტკიცე და უშრეტი პოეტური მუხტი, ალბათ ბევრი ვერ დადგებოდა ფეხზე, ვერ დაძლევდა დაკარგულ წლებსა და შესაძლებლობებს. უთუოდ თვალშისაცემია ის, რომ იგი ერთგვარი დაგვიანებით გაივლის პოეტურ სიჭაბუკეს და გააგონებს საკუთარ ხმას ქართული მწერლობის დიდ ოჯახს. უთუოდ ამას მიანიშნებს მოგვიანებით (1972 წელს) პოეტი: **„შუბლში მახლიდნენ ლომები ბამბუკს, იყო ბუხუნი და შუბის ჩხვერა... ოცი წლის ჭაბუკს, ოცი წლის ჭაბუკს (ოცდაათის წინ!) მცოდნოდა წერა!..“**

სხვათა შორის, მურმან ლებანიძის პოეზიას დიდხანს გაჰყვა ფრონტული ექო; იგი, როგორც გადარჩენილ მეომრებს სჩვევიათ, თითქოს ფეხდაფეხ მისდევს 46-ე პოლკს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ თემატიკაშიც პოეტი სიმართლის ერთგულია, მას არ აუტაცებია იმდროინდელი ომის ჰეროიკა და რომანტიკა, მწარე სიმართლით ჟღერს მისი სტრიქონები: **„მოფენილია ეს მინდვრები ცხენ-კაცის მძორით, არავითარი - მფრინავი და ლურჯა ცხენებით!“ „იოდი, ბინტი, ჭრილობა, ჩირქი, ირგვლივ ომი და ჰოსპიტლის ქვარტლი... ხარ ხეიბარი, რიყისქვა, ჯირკი, კაცი არა ხარ, - აგდიხარ ჯართი!“... „აგდიხარ ხორცი და ხორცში ცხოვრობს სული დაღლილი და უბადრუკი!“**

უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ იდეოლოგიურ პირობებში გამონაკლისია ასეთი დამიწებული, პირუთვნელი ომის თემატიკა და, როგორც ჩანს, ერთადერთი პოეტის „ფრონტელობა“ იყო იმუნიტეტი როგორც ამ მკაცრი სიმართლის სათქმელად, ისე, განსაკუთრებით, შემდგომი ღიად ანტიიმპერიული თემატიკის დასამკვიდრებლად.

ვინ არის პოეტი? – ის, ვინც სათანადო დროსა და სივრცეში პოულობს ზუსტ, თანამედროვეობის შესატყვის სიტყვასა და ინტონაციას.

მურმან ლებანიძე ნამდვილად არის ის პოეტი, ვინც მყარად დაამკვიდრა საკუთარი ხმა და სათქმელი ესოდენ მდიდარ ქართულ პოეტურ სინამდვილეში. დაწყებული „მელიქიშვილის გამზირით“ (1951) და გაგრძელებული „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველოთი“ (1969), „უფლისციხითა“ (1971 და „აფხაზეთით“ (1975) ამ ათასწლეულის დასაწყისამდე მურმან ლებანიძის ხმა განსაკუთრებულად, გამორჩეულად ისმოდა ქართული პოეზიის მრავალხმიანობაში.

* * *

**მურმან ლებანიძეს აქვს ფაქიზი ლირიკული ბგერა (მაგ., „მელიქიშვილის გამზირი“, „მარეკები შლიდნენ ბანაკს...“), მაგრამ მისი შემოქმედების გენერალური ხაზი მაინც ეროვნულ-პატრიოტული პოეზიაა.**

ეს იყო აშკარა გამოძახილი ეპოქის გამძაფრებული მაჯისცემისა, რომლის აღქმა ყველაზე უწინ პოეტს შეუძლია. ხომ სრულიად აშკარაა, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ეროვნული სულის მაცოცხლებელი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეის შემნახველი საქართველოში სწორედ პოეზია იყო. ეს მემკვიდრეობა ღირსეულად მიიღო და ახალი ენერგია შთაბერა მურმან ლებანიძემ. ამიტომაც იყო, რომ ყოველი მისი ამგვარი სამამულო ლექსი პირველი გახმიანებისთანავე იქცეოდა ქართული პოეზიის ქრესტომათიული საგანძურის ნაწილად...

მურმან ლებანიძის სამამულო ლირიკა მონუმენტურია და გამომსახველი. მხოლოდ პოეზიას, პოეტურ სიტყვას ეკუთვნის ეს დიდი საიდუმლო: „უფლისციხესთან...“ სულ სამადსამი სტროფია და მისი ძირითადი ნაწილიც – „არავითარი სხვა სამშობლო...“ რეფრენად მეორდება სამივე სტროფში... მაგრამ ეს ნაწარმოები ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს ვრცელ დრამატულ ორატორიას ვისმენდეთ!.. ეს ლექსი მართლაც ახალი ეპოქის ჰიმნად იქცა თავისუფლებისათვის შემართული თაობებისათვის, მან აღზარდა ახალი დროის პატრიოტები და გმირები, ამიტომაც თუნდაც მხოლოდ ამ ლექსისათვის ერგება უმაღლესი დიდება მურმან ლებანიძეს...

ეპოქის გამძაფრებული აღქმა პოეტის სიტყვაში ამჟღავნებს წინასწარმეტყველურ იმპულსებს. „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ რომ დასაღვრელის მაცნეც არის, ეს, ცხადია, წარსულით წინასწარმეტყველებაა, რაც ამ ლექსის თანამედროვეთა აღქმაში დაკარგულის დასაბრუნებლად თავდადებას გულისხმობს და არა – მოულოდნელად თავსდატეხილი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ბრძოლას. ეს უკანასკნელი კი, სამწუხაროდ, ბოლო ერთი საუკუნის გამოცდილებით, ჩვენთვის უჩვეულო პოზიცია და, ამის გამო, არცთუ შედეგიანი ასპარეზი აღმოჩნდა. ამ საფრთხის ახდენაც საკუთარი თვალით იხილა პოეტმა, რასაც იგი იმავე 70-იან წლებში წინასწარმეტყველებდა: **„აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს... და მე ვყვირი: – ჩემს სისხლს დალევს უწინამც! და მე ვმღერი: – აფხაზეთი ჩემი!..“** (1975) (ნიშნეულია, რომ მის ერთ-ერთ პირველ კრებულს (1949) სწორედ „აფხაზეთი“ ერქვა).

ჩვენმა მწერლობამ ერთი ეროვნული ლაშქრობა, არასახარბიელო დემოგრაფიული პერსპექტივის კარნახით, ქართული სოფლის აღორძინებისკენ წარმართა. მურმან ლებანიძემ ესეც არა კამპანიურად, არამედ პირდაპირი შინაარსითა და სიმართლით გაიგო – წავიდა და რაჭაში სახლის მშენებლობას შეუდგა. მისი ეს მცდელობა და შესანიშნავი „ხეობის წიგნი“ ეპოქის სამაგალითო ფურცლად დარჩება ჩვენი ქვეყნის მატიანეში. ან სხვაგვარად როგორ შეიძლება იქნეს აღქმული მისი ტკივილიანი ტაეპები: **„ძველი ქართული ანდაზა იტყვის: „სოფელი დიდია!“ რამ გაადიდა, ანდა სად? სოფელს ბოქლომი ჰკიდია! რაჭა-ლეჩხუმი მშობელი გაცლილა, გათხელებულა, ტყეს გადუვლია სოფელი, სოფელი – გატყევებულა... მე უნდა გავხდე გოროზი, არ წავიქცე და არ წავხდე – ლებანისქედის ბოლოში გიჟივით მარტო დავსახლდე!“ (1968);**

**ზვარეთის თემში დარი იყო – უცხო რამ სანახავი... სოფელი მთებში მკვდარი იყო – არ ჩანდა დამმარხავი!“** (1973);

**„ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი, ცარიელა ეს პარტახი საიგავო, მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!“** (1971)...

* * *

ქართული ენა ზეობს და ზეიმობს მურმან ლებანიძის პოეზიაში. მისი ლექსი, ერთი შეხედვით, მოვარდნილი სტიქიაა. თითქოს პოეტს უარი უთქვამს სტრიქონების დახვეწასა და რაფინირებაზე. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული აღქმაა. უნდა გვახსოვდეს, რომ მურმანი ეკუთვნის თაობას, რომელიც ჩამოყალიბდა ვერსიფიკაციის ქართული თეორიების მძაფრ ჭიდილში და ეროვნულ პოეზიას არაერთი ვერსიფიკაციული სიახლე შესძინა. მურმან ლებანიძის ლექსს სწორედ ამგვარი ექსპერიმენტატორის ხელი ეტყობა, მისი გრაფიკული ვარიაციები (სტრიქონების დატეხვა, ტირეების გამოყენება...), ტაეპების პოლირიტმულობა, დაკოჭლებული სტრიქონების მონაცვლეობა, თავისუფალი და ორიგინალური რითმა ქმნის პოეტის ლექსის თავისთავადობას. აშკარაა, მურმან ლებანიძეს აქვს აბსოლუტური მუსიკალური სმენა პოეზიაში; როგორც თავად იტყვის შაშვზე, **„ისეთს ჩამოაგვირისტებს, ერთიც არ მოგივა თავში...“** რიტმული ვარიაციებითა და ინტონაციების ზუსტი დასმით იგი აღწევს იმ ეფექტს, რომელიც უმალვე იცნობა, რომელსაც მაინცდამაინც მურმანის ბეჭედი აზის და რომელიც მის ზარათფხანაშია მოჭრილი... სწორედ ამას აღნიშნავს **ჭაბუა ამირეჯიბი** მურმანთან დიალოგში: **„მაგალითად, შენ, ჩემო მურმან, ისე წერ ლექსს, როგორც სხვა არავინ, ამიტომ იციან შენი გვარ-სახელი და ამიტომ ხარ - მურმან ლებანიძე“.**

1973 წელს 50 წლის პოეტს რუსთაველის პრემია მიენიჭა. წარდგენილი ყოფილა პოეტის 37 ლექსი (მათ შორის, ზოგი – გამოუქვეყნებელიც) და პოემა „ანისის აღება“. იშვიათი, ნიშანდობლივი შემთხვევაა: საკმარისია მხოლოდ ჩამოთვლა ამ ლექსებისა და ქართველ მკითხველს დღესაც არ დასჭირდება რომელიმე მათგანის შეხსენება: „მკვდრები“, „...ათი წლის შემდეგ თამუნია ქავთარაძეს“, „...ჩქარობო, მითხრეს, ცხარობო, მკადრეს“, „უფლისციხესთან...“, „მეშინია!“, „ყველას! ყველას! ყველას!“, „...მოგონებები მახრჩობს, გულით ხანჯლები დამაქვს“, „პოეტი“, „...ამ ქალს დაარქვეს შავი პანტერა“, „კომშები (პაციფისტი)“, „...პავლე ინგოროყვას“...

რაც შეეხება პოემას „ანისის აღება“, ამ დიდი თემით შთაგონებამ თითქოს ახალი სუნთქვა გაუხსნა პოეტს და, პოემის გარდა, სწორედ ამ შთაგონებით შეიქმნა რამდენიმე ახალი შედევრი („პოემის წერისას“, „იცნობ მეზობელს?“...).

იხ. 7 გვ.

# ერის გამთლიანება გვარების ერთიანობით იწყება

**არ გვეგულება ადამიანი, რომელიც თავისი გვარით არ ამაყობდეს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ქართველთა ამქვეყნიური სამებაა ენა, მამული, სარწმუნოება, სწორედ ამ სამების მასაზრდოებელია გვარიშვილობა, მამულიშვილობა, ოჯახიშვილობა...**

**საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ თითოეული ჩვენგანი საკუთრი მშობლებიდან და გვარიდან მოვდივართ, უფლისა და სამშობლოს სამსახურში ვდგავართ და დამსახურებული ღვაწლისა და წლების შემდეგ მარადისობას ვუერთდებით. ხოლო გვარ-სახელი და ღვაწლი აქ, წუთისოფელში რჩება.**

**ღირსეული კაცი გვარს ამშვენებს, გვარი კი სამშობლოს!.. ამიტომაცაა, რომ ჩვენი სამშობლო ღირსეულ გვართა და პიროვნებათა ქვეყანაა, რადგან ამ მადლიან მიწაზე ყველა გვარი კეთილშობილია.**

**ზემოთ ნათქვამი იმიტომ გაგაცანით, რომ ჩვენი ვალია ვიზრუნოთ თითოეული გვარის, ოჯახისა და გვარიშვილობის გადარჩენისათვის, საერთო ჯამში, ერის გამთლიანება-შედუღაბებისთვის.**

**სხვა მხრივ ერის გადარჩენა შეუძლებელი იქნება.**

**დღეს, როცა მსოფლიოში მძვინვარებს გლობალიზაციის პროცესი, ქართულ გვართა წინაშე დღის წესრიგში დადგა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა, არ გაითქვიფოს ქართული ეთნოსი მოძალებულ უცხოტომელთა ეროვნებებში, ეს რომ არ მოხდეს, საქართველოს ბრძენი პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და მისივე თოსნობით შეიქმნა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი (თავმჯდომარე ირაკლი ბრეგვაძე), რომელიც მეტად შრომატევად და შემოქმედებით საქმიანობას ეწევა ქართული გვარების გასაძლიერებლად და შეკავშირებისთვის, რომელიც არც თუ ისე იოლად შესასრულებელია. ამიტომაცაა, რომ დარბაზი ძალას და ენერგიას არ ზოგავს ქართული გვარების წინაშე არსებული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტისათვის და ერის გამთლიანების ურთულესი გამოწვევების დაძლევისთვის.**

**სწორედ ერის გამთლიანება-განვითარებას ემსახურება დარბაზის მიერ გადადგმული მეტად შთამბეჭდავი ნაბიჯები, კვირაში ერთხელ, ტელეკომპანია ტვ „ქართულის“ ეთერში გადის ბატონ ირაკლი ბრეგვაძის საავტორო გადაცემა „წუთისოფელი“, სადაც გვარების წინამძღოლები საზოგადოებას აცნობებენ საკუთარი გვარის წარმოშობის ისტორიას, გვარის განვითარების გზას, იმ ნაბიჯებს, რომლებიც დადებითად მოქმედებს გვარების კიდევ უფრო განვითარებისთვის.**

**დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ტელეკომპანია ტვ „ქართულის“ დირექციას (დირექტორი მანანა იმედაძე) ეთერის დათმობისათვის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას (მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულია), რომელმაც უშურველად დაგვითმო გაზეთის ფურცლები ქართულ გვართა საქმიანობის საზოგადოებისთვის გასაცნობად. სწორედ ეს არის ის მეტად მამულიშვილური, პატრიოტული სულისკვეთება, რასაც საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, ტელეკომპანია ტვ „ქართული“ და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ასრულებენ ერის წინაშე.**

**დღეს რამდენიმე ქართული გვარის ისტორიის შესახებ მოგითხრობთ.**




ბარჯაძეთა გერბი

## მეამაყება ბარჯაძეების გვარიშვილობა!

გვესაუბრება **ბარჯაძეების გვარის** წინამძღოლი ბატონი **გაბრიელ ბარჯაძე:**

**ბარჯაძეების გვარი** წერილობით წყაროებში მოხსენიებულია 1702-1720 წლებიდან. გვარის ფუძე ბარჯი – ორკაპიანი სათევზაო ჯოხია – ზოძკინტი. ბარჯი არის აგრეთვე სატყორცნი რკინის კავიანი იარაღი, რომლითაც ვეშაპებზე და დიდ თევზებზე ნადირობდნენ. ბარჯი საკუთარი სახელიცაა.

სავარაუდოდ, ბარჯაძეების წინაპრები მეზარჯეები ყოფილან. მათ დამზადებულ ბარჯებს, როგორც სამეურნეო ისე საბრძოლო დანიშნულებისათვის იყენებდნენ. ბარჯაძეების ფუძე სოფელ ითხვისშია (ჭიათურა),რომელიც ზემო იმერეთში მდინარე ყვირილას მარცხენა მხარეს – ითხვისის პლატოზე, ჭიათურასა და საჩხერეს შორის მდებარეობს.

ქართულ ისტორიულ ძეგლებში ითხვისი XV საუკუნის დამლევიდან დასტურდება.

გადმოცემის მიხედვით ბარჯაძეები ზემო იმერეთში რაჭიდან გადმოსახლებულან. (ასახელებენ სოფელ ზემო ბარს), თუმცა რაჭაში დღეს ეს გვარი არ სახლობს. ლეგენდის მიხედვით, რაჭიდან ერთი ძმა დღევანდელ ვანის რაიონში, მეორე კი ზემო იმერეთში დასახლებულა.

დღეს ვანის ორ სოფელში სახლობენ ბარჯაძეები. ეს გვარები ერთი ძირისანი არიან.

ითხვისის გარდა, ზემო იმერეთში, საჩხერის რაიონის სოფელ სარეკშიც ცხოვრობენ.

1790 წელს ბარჯაძეები ძირითადად მწირი საკარმიდამო მამულებისა და სხვა პრობლემათა გამო შიდა ქართლში გადასულან.

ქართლელმა ბარჯაძეებმა იციან, რომ მათი წინაპრები ითხვისიდან მოსულან. ბარჯაძის გვარის ოჯახები საიმერეთოს სოფლების ითხვისისა და სარეკის გარდა კომპაქტურად ცხოვრობენ: ატენში-გარდატენში (გორი), დოესში (კასპი), თამარაშენში (ქარელი), კოჯორში.



ბარჯაძეთა გვარის შეკრება

2011 წლის 16 აპრილს, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ჩვენი გვარის შეკრება გაიმართა, დაფუძნდა საგვარეულო კავშირი, არჩეული იქნა გამგეობა და გვარის წინამძღოლი. 2012 წლის 29 აპრილს კი სამების ტაძარში ბარჯაძეები დალოცა და საგვარეულო წმინდა იოანე ნათლისმცემლის ხატი აკურთხა საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ჩვენი საგვარეულო დროშა და ხატი პერიოდულად დაბრძანდება გვარიშვილების ოჯახებში...

ატენელი ბარჯაძეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეაკეთეს მთის წვერზე მდგარი VI საუკუნის „დანახვისის“ წმინდა გიორგის ეკლესია. საგვარეულო სასაფლაოს ახლოს კი, ააგეს ახალი სამლოცველო.

## მომავლის დიდი იმედი გვაქვს!

**მარხვაშვილების** გვარის მეთაურმა, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **თეიმურაზ მარხვაშვილმა** მოკლედ ჩამოაყალიბა საკუთარი გვარის ისტორია და იმედი გამოთქვა, რომ ამ გვარის მცირერიცხოვნობის მიუხედავად, სამომავლოდ ბევრ საშვილიშვილო საქმეს გააკეთებენ!

წინაპრის პატივისცემა და მათი სახელობის უკვდავყოფა თითოეული ქართველის ვალია, მითუმეტეს გვარის პირველი წარმომადგენლისთვის ჩემთვის ეს ორმაგად საპასუხისმგებლოა!

მარხვაშვილების გვარის წარმოშობა სათავეს იღებს XVIII საუკუნის დასაწყისიდან.

1805 წელს ცხვარიაშვილების წიაღში დაბადებულა ალექსი, რომელიც უფროსი ძმა იყო სამ ძმას შორის. გადმოცემის თანახმად, ალექსის მამა გიგო ცხვარიაშვილი ირიცხებოდა ერეკლე II რაზმში და ერთგულად ემსახურებოდა მეფეს. ლეკთა შემოსევების დროს ბევრჯერ უსახელებია თავი.

ალექსი რომ დაოჯახებულა, მრავალი წლის განმავლობაში შვილი არ ჰყოლიათ. მორწმუნე ალექსის ყოველივე ეს ღვთის სასჯელად მიუღია და გაუძლიერებია ლოცვა და მარხვა. ღვთის წყალობით, მართლაც, 1838 წელს შეძენიათ ერთადერთი ძე ზაქარია.

სოფელ პატარძეულში ამის შემდეგ გიგოს ამ შტოს მარხვაანებად მოიხსენიებდნენ. ზაქარია, როგორც მარხვის მადლით მოვლენილი ძე, მარხვაშვილად გამოეყო ცხვარიაშვილების გვარს, ცხვარიაშვილების გვარს გამოეყვნენ აგრეთვე ზაქარიას ბიძაშვილები – ალექსის ძმები და მათი შვილები. ზაქარიას სამი ძე და სამი ასული შეეძინა, გამრავლდნენ აგრეთვე ზაქარიას ბიძაშვილები.

გვარის წარმოშობის ადგილად ითვლება საგარეჯოს რაიონის სოფელი პატარძეული. მარხვაშვილები ცხოვრობენ როგორც საგარეჯოში, ისე თბილისში, რუსთავში, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში. დღეისთვის, საჯარო რეესტრის მონაცემებით, რეგისტრირებულია 250 მარხვაშვილი.

გვარს არასდროს აკლდა გამორჩეული ადამიანები, ისინი დღესაც საკმაოდ პოპულარულები არიან. ფინანსისტები, ინჟინრები, მოსამართლეები, პოეტები... მახარებს ისიც, რომ გვარის ხერხემალი და შესანიშნავი ქველმოქმედია საგარეჯოელი გია მარხვაშვილი, რომელიც მრავალი სიკეთის მკეთებელია.

გვარის დალოცვა მოხდა 2012 წლის 28 ოქტომბერს, გვარის წინამძღოლად იმდროისთვის არჩეული იქნა საპატიო გვარიშვილი ლადო მარხვაშვილი – კახეთის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე, ვის სახელსაც უკავშირდება მასშტაბური პროექტები კახეთის რეგიონში. სამწუხაროდ, იგი 2015 წელს გარდაიცვალა.

წმ. გიორგი არის გვარის მფარველი წმინდანი, გვაქვს მარხვაშვილების საგვარეულო დროშა (ალამი) და საგვარეულო გერბი. სამომავლოდ მრავალი საინტერესო ღონისძიების მოწყობა გვაქვს გადაწყვეტილი, იმედიანად გვითხრა ბატონმა თეიმურაზმა.



მარხვაშვილთა გვარის წარმომადგენლები საგვარეულო გერბთან ერთად

## მინდა, სახლიკაცებს მუზეუმი დავუტოვო

**ბრეგაძეების** გვარის წინამძღოლმა, სათნო ქალბატონმა **ნანი ბრეგაძემ** დიდი შრომა გასწია საკუთრი გვარის ისტორიის შესასწავლად და დღესაც აქტიურად შრომობს გვარის წინაშე მდგარი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტისთვის. რაც მთავარია, სიამაყით გვიყვება გვარის ისტორიის მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

გვარ-სახელით „ბრეგა“, „ბრეგვა“ – ფუძისანი არი-

ან ბრეგაძეები, ბრეგვაძეები, გრეგუაძეები. ისინი გვარ-სახელებით კი არიან ერთფუძიანი, მაგრამ შეიძლება გვარის ჩამომავლობით სულაც არ იყვნენ ერთსისხლიანი.

პირთა ანოტირებული ლექსიკონის პირველი ტომის ისტორიული საბუთების 1621 წლის მონაცემებით, სოფელ ბუეთში (ტყიბულის მუნიციპალიტეტი) ბრეგაძეების რვა ოჯახი ცხოვრობდა და იხდიდა „საგენათლო“ გამოსაღებს. სხვა გლეხების მსგავსად, ოკრიბის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები ბრეგაძეები იხდიდნენ 5-6 სახის ბეგარას. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, როგორც საქართველოს სამხედრო ძლიერებისა და თავდაცვის საქმეში, ისე საეკლესიო მოსაკრებლის, სათავადოების შესანახი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შექმნაში-შეძენაში.




ბრეგაძეების გვარის წინამძღოლი ნანი ბრეგაძე

1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილის ომში ჩადენილი გმირობისათვის, მეფის მეომარი გლეხი ბრეგაძე მტრისგან მალულად ასულა მაღალი ხის წვერზე და იქიდან მტრის შესაშინებლად და ქართველი მეომრების გასამხნევებლად სოლომონ I-ს მტერზე გამარჯვება მაღალი ხმით ახარა. ამ დამსახურებისთვის მეფეს გლეხისთვის ტახტის აზნაურობა უბოძებია. სოფელ ნავენახევიდან ბრეგაძეები იხდიდნენ იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მიერ 1783 წელს აღდგენილი გელათის მონასტრის ეკლესიისთვის გადასახადს, შრომობდნენ და უვლიდნენ ეკლესიის კარ-მიდამოს.

2015 წლის 31 მაისს „ბრეგაძეების“ გვარი, სამების საკათედრო ტაძარში დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ბრეგაძეების საგვარეულო ხატი „მთავარანგელოზთა დასი“ – ქუთაისში მცხოვრები გივი ბრეგაძის ოჯახის თაოსნობით და „ბრეგაძეების“ ფუძე-სოფლის „ბუეთის“ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრის ნიკოლოზ ქათამაძის ლოცვა-კურთხევით ოჯახებში მოლოცვების შემდეგ, დააბრძანეს სოფელ ბუეთის ეკლესიაში, რომელიც XII საუკუნით თარიღდება. ამ ეკლესიაში, გადმოცემის თანახმად, ბრეგაძეს ვაჟის გაჩენისთვის „ოქროს აკვანი“ შეუწირავს.

ეკლესიაში უკვე აღდგენილია წირვა-ლოცვა, ჯვრისწერა, ნათლობა და სხვა საეკლესიო დღესასწაულები. ბრეგაძეებმა ყოველი წლის 31 მაისი გამოაცხადეს მათი გვარის შეკრების დღედ. ყოველ 21 ნოემბერს კი მთავარანგელოზობას აღნიშნავენ გვარის ფუძე სოფელ ბუეთში.

**ბრეგაძეების გვარი** მცირერიცხოვანია და 2100 სულს შეადგენს, გვარის წარმომადგენლები ისტორიულად შესანიშნავი მშენებლები, მებუხრეები, ქვითხურონი, კარგი მეოჯახეები, კულტურის დამსახურებული მუშაკები, ექიმები, ბიზნესმენები, მეცნიერები, პოეტები, კრიტიკოსები, პედაგოგები, მსახიობები არიან. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში ახალგაზრდა ფრიდონ ბრეგაძე გმირულად დაიღუპა, იგი ხრესილშია დაკრძალული.

საგვარეულო დარბაზი ზრუნავს სოფლის მუზეუმის და გვარის ისტორიის წიგნის გამოცემისათვის, ძალიან მინდა, სახლიკაცებს მუზეუმი დავუტოვო!

სიამაყით გვითხრა ბრეგაძეების გვარის წინამძღოლმა, ქალბატონმა ნანი ბრეგაძემ.

**ვალერიან ლომიძე,**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის წევრი.**

# მურმან ლებანიძის ლექსის უკვდავება

(მეხუთე გვერდიდან)

თავად პოემა ერთ-ერთი გამორჩეულია ისტორიულ თემაზე დაწერილ ეპიკურ ნაწარმოებებს შორის. ის დიდი ოსტატობითა და სწორი ისტორიული აქცენტებით არის შექმნილი, თითქოს პოეტს ისტორიის კარი გაუღია და მისი სიღრმიდან გველაპარაკება, ხოლო ცალკეული პასაჟები ჭეშმარიტად მაღალ ხელოვნებას წარმოაჩენს. მაგ., იმდროინდელი ანისის სურათი:

**„მთელ დღეს ჭიხვინებდა აგვისტოს რაში**
**(მზე) და ოქროფერილ გუმბათებს ახურებდა,**
**იდგა მეციხოვნე ანისის ცაში –**
**ყურძენს კიკნიდა და ქალაქს გაჰყურებდა.“**
**დავითის დიდების ერთი ფრაგმენტი:**
**„ქარიშხლების ფრთებზედ ნარწევმან,**
**ღვთაებრივმან ნიჭით და მკლავით,**
**აღისრბოლა**
**ვითარცა არწივმან,**
**მამობრივმან**
**მეფემან დავით.“**

ეს არ არის მ. ლებანიძის ერთადერთი პოემა. 1982 წლის რჩეულში, ამას გარდა, 18 ლირიკული პოემაა შეტანილი და 13 – ბალადა. უნდა ითქვას, რომ ეს ჟანრობრივი ფორმები ავტორმა გარკვეული ამბების მოსათხრობად გამოიყენა. იგი პოეტური ოსტატობით ყვება იმ ამბებს, რომელთაც სხვა ავტორი ბელეტრისტულ თხრობას მიუსადაგებდა. მათს უმეტესობას შეიძლება ვუწოდოთ ნოველები ლექსად. თვით მურმანს უთქვამს: „პოეზიის ქომაგებს გულს არ დავწყვეტ, ლექსი -– სამეფო ხილია და რჩეულთა საზრდო, მაგრამ არის სათქმელი, რომელიც პროზას თხოულობს.“ და, მართლაც, იგი დიდი ოსტატობით, მისეული დიდებული თხრობით გვაზიარებს არაერთ ამბავს: „ჩაის ჭიქით!“, „ვახტანგ რაზიკაშვილი“, „არჩვაძის გალსტუკი“ და სხვ.

* * *

**მურმან ლებანიძის შემოქმედებას გამოკვეთილად მიჰყვება გალაკტიონის პიეტეტი. არაერთგან ჩნდება სხვადასხვა ფორმით გენიალური პოეტის მონუმენტური ფიგურა: „გალაკტიონი“ („ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ“), „ყვავილების მდინარეს...“, „გალაკტიონი მობრძანდა“, „ლექსის მწერალი ხშირდება...“, „ლეგენდად დარჩეს“, „შურა ბანძელაძეს“, აგრეთვე მოგონებები – „გალაკტიონი როგორც იტყვის...“**

მურმანის ეს სიახლოვე ლეგენდარულ პოეტთან, როგორც ჩანს, იყო არა შემოქმედებითი ნათესაობის გამოხატულება, არამედ – ერთგვარი გამოსარჩლების ჟესტი უმცროსი თანამოკალმის მიერ (აკი ურჩევიათ მისთვის: არ გარგებს გალაკტიონთან ურთიერთობაო!).

ამ რაინდული გამოსარჩლების ჟესტით მურმან ლებანიძის განსაკუთრებული მხარე ჩანს – თითქმის არ დაუტოვებია შემთხვევა, რომ ვინმეს მისამართით უსამართლოდ ნასროლი ქვისთვის, ვინმესთვის დაკლებული პატივისთვის დამცველი სიტყვა არ დაეხვედრებინა (იქნებოდა ეს ლადო ასათიანი თუ მირზა გელოვანი, ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, მუხრან მაჭავარიანი, ქეთევან ჯავახიშვილი თუ სხვანი...). იგივე მურმანისეული გამოსარჩლების ჟესტია ხალასი ნიჭისათვის, ახალგაზრდებისათვის თავგამოდებული მხარდაჭერა (ლ. ხაჩიძე, ი. სულაბერიძე და სხვ.)... იგივე არის მიზეზი, ალბათ, რომ მისი მიძღვნითი ხასიათის ლექსები მართლაც გულიდან არის ამოღებული, მხოლოდ გურამ თიკანაძისა და გურამ რჩეულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნანი რად ღირს!..

რაც შეეხება შემოქმედებითი სიახლოვისა თუ მემკვიდრეობის საკითხს, მურმან ლებანიძე პირდაპირ კლასიკური პოეზიიდან მოდის, თუმცა მნიშვნელოვანი სიახლეებით. გავიხსენოთ: აკაკიმ ილიას „ზარათაშვილის მოკანანახე“ უწოდა. ამ ფორმულის გამოყენებით მურმან ლებანიძეს ყველაზე უფრო „აკაკი წერეთლის მოკანანახეობა“ დაშვენდება.

თუ რამ, ისევ აკაკის „განთიადი“ გაგვახსენდება, როცა მ. ლებანიძე გალაკტიონის მთაწმინდაზე დაკრძალვის საოცრად ამაღლებულ სურათს გვიხატავს:

**„ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:**
**იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.“**

ლექსის დასასრულს კი იდუმალი კითხვის ნიშანია ჩასაფრებული:

**„ერთი-ორი სხვაც ჰყავდა, ვინც მშობლისთვის იბრძოდა,**
**მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა!“**

ვის გულისხმობდა იმ „ერთ-ორში“ ავტორი, ახლა ამის განსჯა მკითხაობას დაემსგავსებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის დიდებულ პლეადაში მურმან ლებანიძეს თავისი გამოკვეთილი ადგილი უჭირავს. ამიტომაც ბოლო წლებში კვლავ გაჩნდა განცხადებები, რომ იგი სამთაწმინდე პოეტი იყო. ახალს არ ვიტყვით, მხოლოდ მრავალგზის მრავალგვარად ნათქვამის რედაქციას მივმართავთ: სჯობია პატივი დაგაკლონ, მაგრამ ხალხმა უკმაყოფილოდ იკითხოს „რატომ?“, ვიდრე იგივე კითხვა გაუჩნდეთ იმის გამო, რომ მაღალი პატივი მოგაგეს...



მაგრამ როდესაც პოეტის დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ ერი კვლავაც ამგვარ კითხვას დასვამს, ამას ისტორიამ მხოლოდ ერთი პასუხი მოუძებნა:

**ხმა ერისა და ხმა ღვთისა!**

**ავთანდილ არაბული**

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში მიწის ნაწილი 2022 წლის მარტში ჩაიქცა და ასზე მეტი ოჯახი დააზარალა. სახელმწიფო კომისიამ დასკვნა ოქტომბერში გამოაქვეყნა და მიწის ჩაქცევის მიზეზად დაასახელა მე-20 საუკუნის სხვადასხვა პერიოდში წარმოებული მიწისქვეშა მოპოვებითი სამუშაოები და ატმოსფერული ნალექი.**




ამ დასკვნის მიხედვით, არ იკვეთება კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ პასუხისმგებლობა მაშინ, როცა დაზარალებული ითხვისელები მიწის ჩაქცევას ამ კომპანიის საქმიანობასაც უკავშირებენ. „ჯორჯიან მანგანეზი“ ამას თავიდანვე უარყოფდა.

ნოემბრის დასაწყისში, როცა სახელმწიფო კომისიის დასკვნას გაეცნენ, დაზარალებულმა ითხვისელებმა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, უწყებათაშორისი კომისიისა და „ჯორჯიან მანგანეზის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა მოითხოვეს და მას შემდეგ, რაც შედეგს ვერ მიაღწიეს, 15 ნოემბერს აქცია გამართეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ითხვისის მცხოვრებმა ზურაბ გოგატიშვილმა რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ აქვთ დოკუმენტები, რომელთა მიხედვით დასტურდება, რომ „ჯორჯიან მანგანეზი“ მანგანუმს ბოლო 15 წლის განმავლობაშიც აქტიურად მოიპოვებს, ამიტომ, მომხდარზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს:

**„არ ვეთანხმებით კომისიის დასკვნას, რადგან კომპანიის ბრალეულობა ფაქტობრივად, არ იკვეთება. თითქოს, არ მუშაობს მაღარო 2006 წლიდან. გვაქვს საბუთები, რომ კომპანია მუშაობს სოფლის ტერიტორიაზე. დოკუმენტების მიხედვით, ბოლო წლებში დაახლოებით 50 ოჯახს მისცეს სახლის, ან მიწის კომპენსაცია, რაც ადასტურებს, რომ მუშაობს მაღარო ჩვენს ქვემოთ. სადაც მიწა ჩავარდა, იქ ორი წლის წინ გაიყვანეს გვირაბი და მალავენ“.**

ზურაბ გოგატიშვილის თქმით, 100-ზე მეტი ოჯახი, რომლებიც სახელმწიფო კომისიის დასკვნით, განსახლებას ექვემდებარებიან, უსაფრთხო ადგილზე დროულად გადაყვანას და ახალ გარემოში საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად ითხვისში არსებული ქონების ადეკვატურ კომპენსაციას მოითხოვენ. ითხვისელი ბადრი მახათაძე გვეუბნება, რომ კომისიამ მხოლოდ სახლი შეუფასა 60 ათას ლარად, ეზოში არსებული დამხმარე ნაგებობები, ორ ჰექტრამდე მიწაზე გაშენებული ვენახი, ხეხილი და სხვა ქონება კი, თითქოს არც არსებობს:

**„საუკუნოვანი სოფელია და ერთ წუთში დავტოვოთ?! თუ აქედან უნდა გადავსახლდეთ, აუდიტმა შეაფასოს ქონების ღირებულება. რა უნდა აშენდეს და სად 60 ათას ლარად?! ამ თანხით მიწაც უნდა იყიდო, სახლიც ააშენო და გაარემონტო?! 24 ოჯახის სახლი დანგრეულია და დანარჩენები დანგრევას ველოდებით“.**

როგორც ბადრი მახათაძემ გვითხრა, მარტში, მიწის ჩაქცევის შედეგად მისი სახლი მნიშვნელოვნად დაზიანდა, თუმცა, ოჯახი იქ ცხოვრებას განაგრძობს, რადგან წასასვლელი არსად აქვთ, არადა, ბოლო თვეებში კედლებზე ბზარები კიდევ უფრო გაფართოვდა და სახლში ყოფნა სახიფათოა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ ითხვისში ყველაზე მეტად დაზარალებული 20 ოჯახი რვა თვის წინ, საცხოვრებლად სხვაგან გადაიყვანა და ქირას უხდის. სახელმწიფო კომისიის დასკვნით, სოფელში რისკის ქვეშ რჩება 86 ოჯახი, რომლებიც ეტაპობრივად უნდა გადაიყვანონ გეოლოგიურად მდგრად ტერიტორიაზე. კომისიამ სახლების დაზიანების ხარისხი პირობითად სამ კატეგორიად დაყო. 34 სახლი საცხოვრებლად საშიშადაა მიჩნეული, 20 სახლი ავარიული, ან დეფორმირებულია და მათი დაზიანების დონე საშუალოა, თუმცა, აუცილებელია მონიტორინგის გაგრძელება, კიდევ 32 სახლი კი – ნაკლებად დაზიანებულია და დაკვირვებას საჭიროებს.

სახელმწიფო კომისიის მუშაობით და დასკვნით უკმაყოფილოა შორენა მეგრელიშვილიც. მისი ინფორმაციით, ოჯახს განსახლებისთვის 60 ათასი ლარი შესთავაზეს, რაც არსებული ქონების საფასურის მხოლოდ მცირე ნაწილია.

შორენა მეგრელიშვილი მიიჩნევს, რომ დაზარალებული მოსახლეობისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ და წიაღისეულის მომპოვებელმა კომპანიამ ერთნაირად უნდა აიღონ. ჭიათურის მერიასთან აქციაზე შეკრებილი ითხვისელების ნაწილს მუნიციპალიტეტის მერი **გივი მოდებაძე** შეხვდა. მას დაზარალებულებმა სახელმწიფო კომისიის წევრებთან, გეოლოგებთან და წიაღისეულის მომპოვებელ კომპანიებთან შეხვედრის ორგანიზებისთვის მიმართეს. მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, მერი დაზარალებულებს დახმარებას დაჰპირდა.



# იციკ მოშე: როცა იბადები ებრაელად, ხარ მარადიულ ომში!..

## პაკისტანელი „ქილერის“ სამიზნე თბილისში

**ებრაელი ბიზნესმენი, იციკ მოშე ადასტურებს, რომ თბილისში, ირანის მოქალაქის დაკვეთით, პაკისტანელი „ქილერის“ სამიზნე იყო.**

62 წლის მოშემ, რომელიც საქართველო-ისრაელის კავშირების გამყარებაზე მუშაობს, არაფერი იცოდა მის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების შესახებ. ებრაელი ბიზნესმენი მასზე თავდასხმას თავის საქმიანობას და წარმომავლობას უკავშირებს.

**„ადამიანი როცა იბადები ებრაელად და ისრაელელად, ხარ მარადიულ ომში“,** — ეუბნება ის რადიო თავისუფლებას და ამატებს: „უბრალოდ, უფრო მეტად ფრთხილი ვიქნები, მაგრამ (საქმიანობის) არც შინაარსი, გეგმები, არაფერი არ შეიცვლება“.

იციკ მოშე იყო ებრაული სააგენტოს წარმომადგენელი და პირველი ხელმძღვანელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში 1990 წლიდან. 2013 წლიდან ის ისრაელის სახლის დამფუძნებელი და თავმჯდომარეა და თავისი დროის ნახევარს საქართველოში ატარებს. ეს ორგანიზაცია ფოკუსირებულია ისრაელის სახალხო დიპლომატიაზე აღმოსავლეთ ევროპაში.

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 15 ნოემბერს განაცხადა, რომ აღკვეთა თბილისში ისრაელის მოქალაქის მოკვლის გეგმა. სუს-ის ინფორმაციით, დამკვეთი ირანის მოქალაქეა, შემსრულებელი — პაკისტანის.**

**გამოძიების მტკიცებით, „ქილერი“ მესამე ქვეყნის გავლით ჩამოვიდა საქართველოში, სწავლობდა სამიზნის გადაადგილების მარშრუტებს, მუდმივ კავშირზე იყო უცხოეთში მყოფ შემკვეთთან და იღებდა მისგან მითითებებს და ფულს.**

**პაკისტანელი ქილერი სუს-მა სპეცოპერაციის შედეგად დააკავა. ასევე, დაკავებულია საქართველოში მცხოვრები, ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე ორი ფერეიდნელი კაცი. გამოძიების ინფორმაციით, ისინი იარაღს აწვდიდნენ „ქილერს“.**

ფერეიდნელების ადვოკატი, მუხრან ღურწკაია რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ.

**„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს ედავებიან ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას და გასაღებას. ისინი ბრალს არ აღიარებენ“,** — ამბობს ღურწკაია.

მისივე თქმით, პაკისტანის მოქალაქე ჩვენებაში ადასტურებს ებრაელი ბიზნესმენის მკვლელობის გეგმის არსებობას, თუმცა არ ახსენებს სხვა ორ, სუს-ის ვერსიით, თანამზრახველს.

იციკ მოშე ამბობს, რომ მასზე დაგეგმილი თავდასხმის შესახებ არავის გაუფრთხილებია, შეთქმულების თაობაზე მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც საქართველოს საგამოძიებო უწყებებმა სპეცოპერაცია დაასრულეს და დაკავების შესახებ საჯაროდ განაცხადეს.

**„ძირითადად პრესასთან ერთად გავიგე“,** — ამბობს მოშე და ამატებს: **„პირველი ზარი მივიღე ისრაელის პრეზიდენტისგან, რომელმაც მხარდაჭერა და მადლიერება გამოხატა, რომ ვმუშაობთ ისრაელისა და მეგობარი ქვეყნების კავშირებზე. ასევე, დამირეკეს ისრაელის პარლამენტიდან“.**

ისრაელის პრესა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ იციკ მოშეს მკვლელობა ირანის რევოლუციური გვარდიის ყუდსის ძალებს სურდათ. ეს ძალები ქვეყნის საგარეო ოპერაციებს აკონტროლებენ.

**ყუდსი მოქმედებს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, ლიბანში, სადაც ის მხარს უჭერს ჰეზბოლას; ღაზის სექტორში — ჰამასს; ავღანეთში კი — ირანთან დაახლოებულ პოლიტიკურ და შეიარაღებულ ჯგუფებს. ამ დაჯგუფებების ნაწილს აშშ ტერორისტულ ორგანიზაციებად მიიჩნევს.**

2022 წლის ივნისში, თურქეთმა განაცხადა „ირანული ქსელის“ რვა წევრის დაკავების შესახებ. ადგილობრივი მედიის ცნობით, ისინი სტამბოლის ბეიოღლუს რაიონში რეიდის შედეგად დააკავეს. გამოცემა IHA-ს ცნობით, ირანელები აპირებდნენ ისრაელელი ტურისტების დახოცვას, შურისძიების მიზნით. ირანის მტკიცებით, ისრაელია პასუხისმგებელი რევოლუციური გვარდიის პოლკოვნიკ საიაად ხოდაის მკვლელობაზე თეირანში 22 მაისს.

გასული წლის ოქტომბერში ისრაელმა ირანი დაადანაშაულა კვიპროსზე ისრაელელებზე თავდასხმის მცდელობაში. ირანმა ბრალდება მალევე უარყო. Times of Israel-ის წყაროს ცნობით, ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ბიზნესმენი იციკ მოშე მიზანში ამოიღეს. თავად მოშე რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ ამ შემთხვევების შესახებ არაფერი იცის.

**„არაფერი მახსოვს, არც რაიმე გაფრთხილება იყო, რომ უფრო ფრთხილად ვყოფილიყავი, ან დაცვა ამეყვანა. არც ისრაელიდან და არც საქართველოდან“,** — ამბობს ის. საქართველოს უსაფრთხოების სამსახური აცხადებს, რომ საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულის მონაწილე და ხელშემწყობი სხვა პირების გამოსავლენად.

**თორნიკე მანდარია,**
**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.**

# მოსკოვი ბიჭვინთის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის წინააღმდეგია!!!

**მოსკოვი ამ ეტაპზე ბიჭვინთის ე.წ. სახელმწიფო აგარაკის რუსეთის კუთვნილებაში გადაცემის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის წინააღმდეგია. ასე უპასუხა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სოხუმის წინადადებას აფხაზური „პარლამენტის“ მიერ რატიფიცირებამდე დოკუმენტში რიგი ცვლილებების დაფიქსირების თაობაზე.**

ორმხრივი შეთანხმება, რომელსაც დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ მიმდინარე წლის 19 იანვარს მოაწერა ხელი, აფხაზური „პარლამენტის“ რატიფიცირების გარეშე ვერ ამოქმედდება. აფხაზური საზოგადოებრიობა და ოპოზიცია კი ბიჭვინთის ობიექტების რუსეთისთვის გადაცემას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან და „პრეზიდენტ“ ბჟანიას „პარლამენტიდან“ დოკუმენტის გაწვევას სთხოვენ.

ამის გათვალისწინებით, დე ფაქტო ხელისუფლებამ, კერძოდ „საგარეო საქმეთა სამინისტრომ“ მოამზადა წინადადება შეთანხმებაში ორი ცვლილების შეტანის თაობაზე. პირველი ეხებოდა დოკუმენტში გამოვლენილი მცდარი კოორდინატების გასწორებას (მასში რუსეთის დაცვის სახელმწიფო სამსახურისთვის გადასაცემი ტერიტორიის მნიშვნელოვნად უფრო დიდი ფართობი იყო ნაჩვენები), ხოლო მეორე — შეთანხმებაში იმის აღიარება, რომ სამომავლოდ ბიჭვინთის ობიექტების მესამე პირთათვის გადაცემა დაუშვებელია.

ამ წინადადებებით გასულ კვირას მოსკოვს აფხაზი „დეპუტატების“ ჯგუფიც ეწვია და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებს შეხვდა.

გუშინ კი აფხაზურ „საგარეო უწყებაში“ მიიღეს მოსკოვის საპასუხო წერილი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო წერს, რომ შეთავაზებული ცვლილებები მოსკოვში „პრინციპულ წინააღმდეგობას არ იწვევს“, თუმცა დოკუმენტში მათი ასახვა მხოლოდ მისი რატიფიცირების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**„რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის გაფორმებული შეთანხმება ჯერ არ შესულა ძალაში აფხაზური მხარის მიერ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების არშესრულების გამო, შემოთავაზებული ცვლილებების შეტანა კი შეთანხმების ამოქმედების შემდეგაა მიზანშეწონილი“,** — ნათქვამია აფხაზური დე ფაქტო საგარეო უწყების მიერ მიღებულ წერილში.

**მარტივად რომ ვთქვათ, ჯერ — რატიფიკაცია, შემდეგ — ცვლილებებზე საუბარი. ასეთია მოსკოვის პასუხი.**

**რამდენად სანდოდ ჩათვლის აფხაზური საზოგადოება „სტრატეგიული პარტნიორის“ ამ პირობას — უახლოესი დღეები გვიჩვენებს.**

# ზელენსკი ცრუობს და „რეჟისორის“ მითითებას ელოდება

უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის თქმით, მან პოლონეთის პრეზიდენტს რუსული აგრესიის გამო, ორი მოქალაქის დაღუპვა მიუსამძიმრა. ამის შესახებ მან ვიდეომიმართვისას განაცხადა. ზელენსკის თქმით, გაიმართა ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს მორიგი შეხვედრა რუსული სარაკეტო ტერორის ახალ ტალღასთან დაკავშირებით.

**„ჩვენ თვალყურს ვადევნებთ განცხადებებს, ვმუშაობთ პარტნიორებთან, ვიცავთ უკრაინის ინტერესებს. რა თქმა უნდა, უშიშროების საბჭოში ერთ-ერთი მთავარი საკითხია პოლონეთში არსებული ვითარება. ყველა იმ გარემოების გარკვევა, თუ როგორ გადალახა რუსულმა აგრესიამ პოლონეთის საზღვარი. უკრაინის პოზიცია ძალიან გამჭვირვალეა: ჩვენ ვცდილობთ, დავადგინოთ ყველა დეტალი, ყველა ფაქტი. ამიტომ გვჭირდება, რომ ჩვენი სპეციალისტები, შეუერთდნენ საერთაშორისო გამოძიების მუშაობას და მივიღოთ წვდომა ყველა იმ მონაცემზე, რომელიც ხელმისაწვდომია პარტნიორებისთვის და აფეთქების ადგილთან.**

**მთელი ჩვენი ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია. ჩვენ მას ვაძლევთ პარტნიორებს ღამიდან მოყოლებული, იმ პირველივე საათებიდან, როდესაც მსოფლიომ დაიწყო იმის გარკვევა, თუ რა მოხდა“,** — განაცხადა ზელენსკიმ.



## პოლონეთში უკრაინული საზენიტო რაკეტა ჩამოვარდა

თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს პრესსპიკერი ედრიენ უოტსონი პოლონეთის ინციდენტთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

**„ჩვენ არაფერი გვინახავს ისეთი, რაც ეწინააღმდეგება პრეზიდენტი დუდას წინასწარ შეფასებებს, რომ ეს აფეთქება, სავარაუდოდ, უკრაინის საჰაერო თავდაცვის რაკეტის შედეგია, რომელიც სამწუხაროდ პოლონეთში ჩამოვარდა“,** — ნათქვამია განცხადებაში და აქვე აღნიშნულია, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია საბოლოო დასკვნებს წინ არ გაუსწრებს და სრულად უცხადებს ნდობას პოლონეთს, რომელიც ამ ინციდენტს იძიებს. თეთრი სახლი ასევე აღნიშნავს, რომ ამ ტრაგიკული მოვლენაში პასუხისმგებელი მხარე რუსეთია, რომელმაც უკრაინაში ომი წამოიწყო. თეთრი სახლი აცხადებს, რომ უკრაინას სრული უფლება აქვს დაიცვას თავი.

## უკრაინული ძალები კონტრრაკეტებს ისროდნენ რუსული რაკეტების ჩამოგდების მიზნით და...

**„ამ ინციდენტის შემდეგ ჩვენი ქვედანაყოფები საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონეზე გადაიყვანეს. მე ასევე ვთხოვე ჩვენს სამსახურებს, პოლიციას, მესაზღვრეებს და ასევე სამოქალაქო სამსახურებს მზადყოფნის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა და ეს უკვე მოხდა. შემთხვევის ადგილზე დამატებითი სამხედროები გაგზავნეს. უკრაინული ძალები კონტრრაკეტებს ისროდნენ რუსული რაკეტების ჩამოგდების მიზნით, ეს ყველაფერი ამაზე მიუთითებს, როგორც ამერიკული სამსახურები იუწყებიან. ჩვენ ვაგროვებთ მტკიცებულებებს, რომ ერთ-ერთი წარუმატებლად გასროლილი რაკეტა პოლონეთის ტერიტორიაზე ჩამოვარდა“,** — განაცხადა პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელმა მატეუშ მორავეცკიმ.

## ანჯეი დუდა: პოლონეთში აფეთქება დიდი ალბათობით, უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალების შეცდომით იყო გამოწვეული...

**პოლონეთში, უკრაინის საზღვართან მდებარე სოფელში აფეთქება დიდი ალბათობით უკრაინის საჰაერო თავდაცვით იყო გამოწვეული,** — ამის შესახებ პოლონეთის პრეზიდენტმა, ანჯეი დუდამ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ანჯეი დუდას თქმით, არანაირი ნიშანი არ არსებობს, რომ სოფელში რაკეტის ჩამოვარდნა იყო პოლონეთზე გამიზნული თავდასხმა. მისი თქმით, ეს სავარაუდოდ უბედური შემთხვევა იყო. დუდას ინფორმაციით, ჩამოვარდნილი რაკეტა სავარაუდოდ „ეს-300“-ის ძველი რაკეტა იყო.

ADB

# მოწვევა წინადადებების წარმოსადგენად

| | |
|---|---|
| თარიღი: | 2022 წლის 14 ოქტომბერი |
| სესხის N და დასახელება: | 3524-GEO: შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტი |
| კონტრაქტის N და დასახელება: | SRIP/CW/ICB-02-Rebid-02:<br>ძირულა - ხარაგაული - მოლითი - ფონა - ჩუმათელეთის შიდასახელ-მწიფოებრივი გზის, მოლითი - ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620 კმ 50+244) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოები |
| წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: | თარიღი: **2022 წლის 13 დეკემბერი**<br>დრო: 15:00 სთ ადგილობრივი დროით |

1. საქართველომ მიიღო დაფინანსება აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტის **განხორციელების მიზნით. აღნიშნული სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოაღნიშნული კონტრაქტის დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნების უფლებამოსილი მონაწილეებისათვის.**

**2.** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **(„შემსყიდველი") იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად** ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620-დან 50+244 კმ მდე) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების **შესყიდვის მიზნით. სარეაბილიტაციო სამუშაოების ხანგრძლივობა 730 დღე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არის 87,445,490 ლარი.**

**3.** საერთაშორისო საკონკურსო ტენდერი **წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი, ერთი კონვერტის პრინციპის სატენდერო პროცედურით და ღიაა ყველა უფლებამოსილი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილესათვის, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაშია აღნიშნული.**

4. ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ უფლებამოსილ მონაწილეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (უნდა იყოს თუ არა მონაწილე ერთობლივი საწარმო, ან როგორ იქნება გამოყენებული ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად არის მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში):

მიმდინარე სასამართლო დავები: **ყველა მიმდინარე სასამართლო დავა და განხილვები არბიტრაჟში (მათი არსებობის შემთხვევაში) ჩაითვლება ტენდერში მონაწილის წინააღმდეგ გადაწყვეტილად და საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ტენდერში მონაწილის წმინდა მოგების 50 პროცენტს, რაც წარმოადგენს სხვაობას ჯამურ აქტივებსა და ჯამურ ვალდებულებებს შორის.**

ფინანსური სიტუაცია:

- ტენდერში მონაწილის გასული წლის წმინდა მოგება უნდა იყოს დადებითი; წმინდა მოგება წარმოადგენს სხვაობას ჯამურ აქტივებსა და ჯამურ ვალდებულებებს შორის;
- მინიმალური საშულო წლიური სამშენებლო ბრუნვა ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს 23,000,000 აშშ დოლარზე ნაკლები. საშუალო ბრუნვა შეადგენს მიმდინარე და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული დადასტურებული გადახდების ჯამს; და
- ტენდერში მონაწილემ უნდა დაადასტუროს რომ მისი თავისუფალი ფინანსურ რესურსები შეადგენს არანაკლებ 4,000,000 აშშ დოლარს, რაც გაანგარიშდება მისი ფინანსური რესურსებისთვის მისი მიმდინარე საკონტრაქტო ფინანსური ვალდებულებების გამოკლების გზით.

საკონტრაქტო გამოცდილება: **ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არსებული სამუშაოების მსგავსი მინიმუმ ერთი კონტრაქტის წარმატებით ან არსებითად დასრულების გამოცდილება ღირებულებით 15,000,000 აშშ დოლარი. მსგავსება უნდა ეფუძნებოდეს სამუშაოების ფიზიკურ მოცულობას, ხასიათს, სირთულეს, მეთოდებს, ტექნოლოგიას და სხვა მახასიათებლებს, რომლებიც მოცემულია დამკვეთის მოთხოვნებში;**

**სამშენებლო გამოცდილება შემდეგი სამუშაოები შერულებაში:**
ტენდერში მონაწილეს უნდა ჰქონდეს მინიმუმ შემდეგი სამუშაოების შესრულების გამოცდილება:

- 112,000 $მ^2$ ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება ნებისმიერ ერთ წელიწადში ბოლო 5 წლის განმავლობაში და
- საგზაო ხიდების მშენებლობის გამოცდილება საერთო ფართობით 2,000 $მ^2$ ერთ წელიწადში;

5. შემდგომი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: info@georoad.ge

სალომე წურწუმია
მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №12
ტელ: (+995 32) 2 37 05 08
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ინგლისურ ენაზე გთხოვთ მოგვმართოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@georoad.ge და მოითხოვოთ სატენდერო დოკუმენტაცია **„ძირულა-ხარაგაული-მოლითი-პონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწი-ფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620-დან 50+244 კმ მდე) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის"**

7. თქვენი სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგინეთ:
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი 12, მე-4 სართული, კანცელარია.
**სატენდერო წინადადებების წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს** 2022 წლის 13 დეკემბრის 15:00 საათამდე (თბილისის დრო);
სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების გარანტია, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული.

**8. სატენდერო წინადადებების გახსნა განხორციელდება სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადის გასვლისთანავე** 2022 წლის 13 დეკემბრის 15:00 საათზე (თბილისის დრო) **იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ დაესწრონ გახსნის პროცედურას შემდეგ მისამართზე:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი 12
მე-3 სართულის საკონფერენციო დარბაზი

# Invitation for Bids

| | |
|---|---|
| **Date:** | **October 14, 2022** |
| **Loan No. and Title:** | 3524-GEO: Secondary Road Improvement Project |
| **Contract No. and Title:** | SRIP/CW/ICB-02-Rebid-02: Remaining Works for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244 |
| **Deadline for Submission of Bids:** | Date: **December 13, 2022**<br>Time: 15:00 hours local time |

1. Georgia has received financing from the Asian Development Bank toward the cost of Secondary Road Improvement Project. **Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.**

2. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia **("the Employer") invites sealed bids from eligible Bidders for** the Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from km 24+620 to km 50+244. **Construction period is 730 days. The estimated cost of the proposed works is GEL 87,445,490.**

3. International competitive bidding **will be conducted in accordance with ADB's Single-Stage One Envelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible countries as described in the Bidding Document.**

4. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (should a Bidder be a Joint Venture, the way how the below mentioned criteria will be applied is further detailed in the Bidding Documents):

Pending Litigation: **All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than fifty (50) percent of the Bidder's net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.**

Financial Situation:

- The Bidder's net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive;
- Its minimum average annual construction turnover within the last three (3) years must not be less than USD 23,000,000 (Twenty Three Million United States Dollars) calculated as total certified payments received for contracts in progress or completed; and
- Bidder must demonstrate that its financial resources less its financial obligations for its current contract commitments are not less than USD 4,000,000 (Four Million United States Dollars).

Construction Experience:
**Participation in at least** one (1) contract **that has been successfully or substantially completed within the last five (5) years and that are similar to the proposed works, where the value of the Bidder's participation exceeds USD 15,000,000 (Fifteen Million US Dollars). The similarity of the Bidder's participation shall be based on the physical size, nature of works, complexity, methods, technology or other characteristics as described in the Employer's Requirements.**

Construction experience in the following key activities:
Minimum construction experience in the following key activities:

- Construction/Rehabilitation of at least 112,000 $m^2$ road with Asphalt-concrete surface in any one year; and
- Construction of road bridges with a total combined bridge deck area of at least 2,000 $m^2$ in one year.

5. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:
Ms. Salome Tsurtsumia
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

6. To obtain the bidding documents in English, eligible bidders should send an e-mail to info@georoad.ge requesting the Bidding Documents for **Remaining Works for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244**

7. Deliver your bid

- to the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia.
Street address: Al. Kazbegi Avenue #12.
Floor/Room number: IV Floor, Chancellery;
- **on or before the deadline: Date:** December 13, 2022, 15:00 hours **(local time);**
- together with a Bid Security as described in the Bidding Document.

**Bids will be opened on** December 13, 2022 15:00 hours **(local time) in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the address below:**

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: 12 Al. Kazbegi Avenue
Floor/Room number: III Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

# Asian Development Bank

◉ ოვალური ბურთი

# უელსი - ხუთ წელიწადში მეხუთედ

**უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ბორჯღალოსნები „დრაკონებს“ მეხუთედ ერკინებიან. 2022 წლის შემოდგომის ტესტებს საქართველო 19 ნოემბერს, „ფრინციფალითიზე“ უელსთან ასრულებს. შეხვედრა ჩვენი დროით 17 საათზე დაიწყება.**



უელსში რაგბის თამაში 172 წლის წინ (1850 წელს) დაიწყეს, ნაკრები კი პირველად 1881 წელს შეკრიბეს და ინგლისს ეთამაშნენ. „დრაკონებმა“ ყველაზე დიდი სხვაობით, 2004 წელს იაპონია დაამარცხეს 98:0, თავად კი სარეკორდო მარცხი სამხრეთ აფრიკისგან, 1998 წელს იწვნიეს – 13:96.

ირლანდიასთან და შოტლანდიასთან ერთად, უელსს ექვს ერსა და მის წინამორბედ ტურნირებში ყველაზე მეტჯერ – 127-ჯერ აქვს ნათამაშები და 28-ჯერ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ბოლოს 2021 წელს.

1987 წლიდან დღემდე, „დრაკონებმა“ 9-ვე მსოფლიო თასზე ითამაშეს და საუკეთესო შედეგი პირველ გათამაშებაში ჰქონდათ, როდესაც მესამე ადგილი დაიკავეს, 2011 და 2019 წლებში კი მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. 2023 წლის მსოფლიო თასზე ის „გ“ ჯგუფში ავსტრალიის, ფიჯის, საქართველოსა და პორტუგალია, აშშ-ს შორის გამარჯვებულთან ერთად ითამაშებს.

ნოემბერში „დრაკონები“ 23:55 დამარცხდნენ „ოლ ბლექსთან“, ხოლო გასულ შაბათს არგენტინას 20:13 სძლიეს. უელსს 81,26 ქულა აქვს და მსოფლიო რაგბის რეიტინგში მე-7 ადგილზეა.

საქართველოსა და უელსს შორის პირველი შეხვედრა 2017 წლის ნოემბერში, „ფრინციფალითიზე“ შედგა და 55 310-მა ქომაგმა დაძაბული თამაში იხილა. ბორჯღალოსნებს ჰქონდათ შანსი, რომ მრისხანე მეტოქესთან ფრედ ეთამაშათ, მაგრამ საბოლოოდ მასპინძლებმა 13:6 იმარჯვეს.

2019 წლის მსოფლიო თასზე უელსს იაპონიაში შევხვდით და მეტოქემ დამაჯერებლად მოიგო – 43:14. 2020 წლის შემოდგომის ერთა თასზე „დრაკონებს“ ლანელში, „პარკ სკარლეტზე“ ვერკინეთ, მასპინძლებმა ორი ლელო გაიტანეს და 18:0 იმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის შემდეგ უელსს მეხუთედაც შევხვდებით, რადგან საფრანგეთის 2023 წლის მსოფლიო თასზე, უელსი და საქართველო გ ჯგუფში ითამაშებენ. შესაბამისად, წლევანდელი თამაში მომავალი დაპირისპირების წინ ერთგვარ გახურებად მოიაზრება.

უელსის მთავარმა მწვრთნელმა **უეინ პივაკმა** უკვე დაასახელა ის შემადგენლობა, რომლითაც ბორჯღალოსნების წინააღმდეგ ითამაშებს. მან შეინარჩუნა ის ბირთვი, რომლითაც გასულ შაბათს არგენტინა დაამარცხა. მეტოქის შემადგენლობაში ექვსი ცვლილებაა. პივაკი ამბობს:

**„ყურადღებით შევისწავლეთ საქართველო და ის უწინდელზე მეტს ბურთაობს. მათ ჰყავთ ძალიან კარგი ფრთის მოთამაშეები და შედეგიანად იყენებენ ფეხს. გუნდს შენარჩუნებული აქვს ფიზიკური სიძლიერე, რისი მომსწრენიც სამოასთან თამაშისას გავხდით. ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ მთელი 80 წუთის განმავლობაში და გამოვასწოროთ დისციპლინა. შემადგენლობიდანაც ჩანს, რომ საქართველოს პატივისცემით ვეპყრობით, რადგან ის უკეთესი გუნდია და სრულფასოვანი ტესტის მოლოდინი გვაქვს“.**

დავძენთ, რომ ჩვენ ტვინის შერყევის გამო ტაბუცაძე გამოგვაკლდა.

◉ მუნდიალი

# FIBA-მ თორნიკე შენგელია გამოარჩია



მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მორიგი ფანჯრის შემდეგ FIBA-მ ყველა ქვეყნიდან თითო კალათბურთელი გამოარჩია, საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე დიდი ყურადღება თორნიკე შენგელიამ დაიმსახურა.

**„შენგელიამ საქართველოს ნაკრებს თითქმის ორი ფანტასტიური გამარჯვება მოუტანა ამ ფანჯარაზე, თუმცა ისლანდიის წინააღმდეგ მოგებული მატჩიც ქვეყნის ვარსკვლავის დიდი დამსახურება იყო. შენგელია ძალიან კარგი იყო ამ მატჩში, სადაც 27 ქულა, 11 მოხსნა, 4 ასისტი და 1 დაფარება მოაგროვა და საქართველოს ნაკრებს სტუმრად გამარჯვებაში დაეხმარა. აღმოსავლეთ ევროპელებმა კინაღამ ხელიდან გამოგლიჯეს გამარჯვება იტალიის ნაკრებსაც, თუმცა შენგელიამ ბურთი მხოლოდ საფინალო სირენის შემდეგ ჩააგდო. მძიმე ფორვარდმა თბილისური მატჩი 15 ქულით, 6 ასისტით, 4 მოხსნით, 1 ჩაჭრით და 1 დაფარებით დაასრულა“,** – წერია FIBA-ს სტატიაში.

საქართველოს ნაკრებმა ნოემბრის ფანჯრის პირველ მატჩში სტუმრად ისლანდია 85:88 დაამარცხა, 3 დღის შემდეგ კი თბილისში, იტალიასთან ძალიან დაძაბულ ბრძოლაში 1 ქულით, 84:85 დამარცხდა.

ქართველ კალათბურთელებს ერთი ნაბიჯი აკლიათ მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად. თუ ისინი მომავალი წლის თებერვალში ნიდერლანდებს და ისლანდიას დაამარცხებენ, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურსაც მოიპოვებენ, რომელიც 2023 წელს იაპონიაში, ფილიპინებსა და ინდონეზიაში გაიმართება.

# საფეხბურთო მოზაიკა

ცნობილმა გამოცემა გოალ-მა „ოქროს ბურთის“ 2023 წლის ნომინანტების სია განაახლა, რომელშიც **ხვიჩა კვარაცხელია** მეათე ადგილზეა.

წინა თვეში ამ გამოცემას ხვიჩა მე-15 ადგილზე ჰყავდა, ამჯერად კი ათეულში დაასახელეს. რა თქმა უნდა, ეს სია პირობითია და „ოქროს ბურთის“ დაჯილდოებაში ხსენებული გამოცემა არაფერს წყვეტს, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, როდესაც კვარა არაერთ ვარსკვლავს უსწრებს, მათ შორის, კრიშტიანუ რონალდუს და „ოქროს ბურთის“ მოქმედ გამარჯვებულ კარიმ ბენზემასაც.

**„ევროპული ფეხბურთის მიმდინარე სეზონის გამორჩეული ვარსკვლავი „კვარადონა“ „ნაპოლის“ სერია A-ს ლიდერობასა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფის მოგებაში დაეხმარა. არცერთი სტატისტიკა არ გამოხატავს გარემარბის გავლენას იმაზე უკეთ, ვიდრე ის ფაქტი, რომ ამჟამად სერია A-ს გოლებისა და საგოლე პასების საერთო მაჩვენებლით ლიდერია, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის გამო „ნაპოლის“ ბოლო სამი მატჩი გამოტოვა. საქართველოს ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე არყოფნა აშკარად სერიოზულ ზიანს აყენებს „ოქროს ბურთისთვის“ ბრძოლაში, მაგრამ ახლა მას უფრო მეტი დრო აქვს იმისთვის, რომ სეზონის მეორე ნახევრისთვის კონდიციების პიკში დაბრუნდეს“,** – წერს გამოცემა.

აქვე გეტყვით, რომ გოალ-ის ვერსიით, კვარაცხელიაზე წინ ამ წუთისთვის „ოქროს ბურთის“ კანდიდატებში მოჰამედ სალაჰი, ჯამალ მუსიალა, კევინ დე ბრუინი, ვინისიუსი, რობერტ ლევანდოვსკი, ერლინგ ჰოლანდი, კილიან მბაპე, ნეიმარი და ლიონელ მესი არიან.

* * *

**მოსკოვის „დინამოს“ მცველმა საბა საზონოვმა რუსულ მედიასთან საქართველოს ნაკრებში გამოძახებაზე კომენტარი გააკეთა.**

როგორც 20 წლის მცველმა აღნიშნა, ეს მისთვის დიდი სტიმულია და ძალიან უხარია. საბას თქმით, ზაფხულში ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე თამაში სურს.

**„ნაკრებში გამოძახება სასიხარულო მოვლენაა, რადგან წინა ფანჯრის დროს პირველად მიმიწვიეს ახალგაზრდულ ნაკრებში და რა თქმა უნდა, 20 წლის ასაკში ეროვნულ გუნდში გამოძახება დიდი სტიმულია, რომ ზრდა და წინსვლა გააგრძელო. ძალიან ბედნიერი ვარ და ნდობას გავამართლებ. კარპინი? მასთან არასდროს მილაპარაკია.**

**2023 წელს ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი იქნება და ასაკით ამ ტურნირზე თამაში შემიძლია. ახლა მიხარია, რომ ეროვნულ ნაკრებში გამომიძახეს, მაგრამ ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე თამაში რა თქმა უნდა, მინდა. მითუმეტეს, რომ ძალიან საინტერესო ჯგუფში ვართ, ბელგიასთან, პორტუგალიასა და ნიდერლანდებთან ერთად. ვფიქრობ, ეს ყველაზე ძლიერი ჯგუფია“,** – თქვა საზონოვმა.

შეგახსენებთ, რომ საბა საზონოვის დედა ქართველია, მამა რუსი და ორმაგი მოქალაქეობა აქვს. მან სექტემბერში 21-წლამდელთა ნაკრებში ითამაშა, ამჯერად კი ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს.

* * *

**ამ დღეებში იტალიის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ალბანეთის ეროვნული გუნდი 3:1 დაამარცხა. ამრიგად, „სკუადრა აძურამ“ 57 წლის რობერტო მანჩინის ხელმძღვანელობით 35-ედ გაიმარჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ „აძურას“ ისტორიაში მანჩინი მწვრთნელებს შორის გამარჯვებებით მესამე ადგილზე დადგა – გვამცნობს სტატისტიკური პორტალი Opta Paolo ტვიტერში.**

მანჩინიმ არიგო საკის გადაუსწრო, რომელსაც 34 გამარჯვება ჰქონდა. რეკორდსმენი ვიტორიო პოცო გახლავთ (65 მოგება), მეორე ადგილზე ენცო ბეარზოტია (51).

* * *

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, ნეიმარმა, ჟურნალისტებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტების ვინაობა დაუსახელა.

**„მსოფლიო ჩემპიონატები სიურპრიზებითაა სავსე. უცებ გამოჩნდებიან ხოლმე გუნდები, რომლებიც დიდ წარმატებებს აღწევენ; მაგრამ ფავორიტებად არგენტინა, გერმანია, ესპანეთი და საფრანგეთი მიმაჩნია. ვფიქრობ, ამ ოთხეულს ბრაზილიასთან ერთად შეუძლია ტურნირის ფინალში გასვლა.**

**და ინგლისის შესახებ. ცხადია, მამაც აქვს შანსი. ძალიან მომწონს ჰარი კეინი და ჯეიდონ სანჩო. ისინი არაჩვეულებრივი ფეხბურთელები არიან და ძალიან მიყვარს. იმიტომ, რომ ინდივიდუალური თამაში გამოარჩევთ“,** – ციტირებს ნეიმარის სიტყვებს The Telegraph.

**შეგახსნებთ, რომ სანჩო ინგლისელთა სამუნდიალო განაცხადში ვერ მოხვდა.**

◉ დოჰიოზე

# ტოჩინოშინი თანაბარ ბალანსზე გავიდა

**კიუშუ ბაშოს მე-4 საშეჯიბრო დღეს თანაბარ ბალანსზე გასვლა მოახერხა ქართველმა სუმოისტმა. ლევან გორგაძე მე-8 მაეგაშირა ტაკარაფუჯის შეხვდა და მეტოქეს ჰატაკიკომის ილეთით აჯობა.**

ეს წყვილის 26-ე ორთაბრძოლა იყო, რომელთა ურთიერთშეხვედრებშიც ტოჩინოშინს 15 მოგების საწინააღმდეგოდ 11 მარცხი აქვს. აღსანიშნავია, რომ ტაკარაფუჯის მიმდინარე ბაშოზე არცერთი მოგება არ აქვს და ცუდ კონდიციებშია. მას ჩვენებურმაც იოლად აჯობა. ლევანი შეჯახებისთანავე კარგ პოზიციაში აღმოჩნდა და მეტოქის დოჰიოზე დაგდება არ გასჭირვებია.

ტოჩის წლის ბოლო სუპერტურნირზე 2 მოგების წილ 2 მარცხი აქვს, მისი მომდევნო მეტოქე კი მე-10 მაეგაშირა ჩიიოშომა იქნება, რომელსაც აქამდე 7-ჯერ შეხვედრია და უარყოფითი ბალანსი – 3 მოგება და 4 წაგება აქვს.



◉ კორტზე

# ნადალი ATP-ს ფინალს გამოეთიშა

**რაფაელ ნადალი ATP-ს ფინალს გამოეთიშა, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონს პირველი ჩოგნის რანგში დაასრულებს მისი თანამემამულე კარლოს ალკარასი. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ნორვეგიელმა კასპერ რუუდმა ამერიკელი ტეილორ ფრიცი დაამარცხა.**

ნადალს ტურნირის მოგება სჭირდებოდა იმისთვის, რომ პირველი ჩოგანი გამხდარიყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც პირველი ორი თამაში წააგო (ფრიცთან და კანადელ ფელიქს ოჟიე-ალიასიმთან), რუუდს სეტის მოუგებლად უნდა წაეგო, მაგრამ ასე არ მოხდა და რაფა ტურნირს გამოეთიშა.

ნორვეგიელმა პირველი სეტი 6-3 მოიგო და ნადალს იმედი გადაუწურა. მეორე სეტში ფრიცმა გაიმარჯვა, მესამე სეტში კი საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. არადა, თავიდან რუუდი 5-1 იგებდა. ფრიცმა გეიმებში ანგარიშის გათანაბრება კი შეძლო, მაგრამ ტაიბრეიკზე რუუდი უფრო სტაბილური იყო და საბოლოოდ, შეხვედრა 6-3, 4-6, 7-6(6) მოიგო.

**„ძალიან დაძაბული შეხვედრა იყო. ბოლოს ორივემ გვარიანად ვინერვიულეთ და ბედად, მე დაწინაურება შევძელი“,** – ამბობს რუუდი, ვინც ზედიზედ მეორედ ითამაშებს ATP-ს ფინალის ნახევარფინალში.



19 წლის ალკარასი ტურინში მიმდინარე ტურნირზე, მუცლის პრესის კუნთის ტრავმის გამო არ თამაშობს. ის ATP-ს სეზონის დამამთავრებელ რეიტინგში, მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა პირველი ნომერი გახდება მას შემდეგ, რაც ეს რეიტინგი ქვეყნდება (1973 წლიდან).

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, „სახალხო ფრონტის“ ჭეშმარიტი პატრიოტი, ცნობილი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ქართული ენის ქომაგი, საზოგადო მოღვაწე და ღირსეული მამულიშვილი



## ნოდარ ნათაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, სამეგობროსა და სანათესაოს.

# ის ჩვენშია — სპეტაკი, გაუტეხელი, მართალი სულით...



**გულნარა ბაშარული**, ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალისტი — ასე იხსენიებენ კოლეგები, რესპონდენტები, მკითხველთა ის წრე, ვინც ნიჭიერად ნათქვამი სიტყვის შემფასებელია.

გულო 40 დღის წინ გავაცილეთ... მაგრამ ის მაინც ჩვენთანაა, მისი მეგობრების გულებში, ასეც იქნება მუდამ... ყურში ჩამესმის მისი ბოლო სიტყვები „უნდა ავდგე, უნდა ავდგე!“ მაპატიე, მეგობარო, რომ გამშვიდებდი, რომ გიღიმოდი, რომ თავს ვიტყუებდი და შენც გატყუებდი. ასე მეგონა მართლაც დადგებოდი ფეხზე, შენ ხომ ეს ბევრჯერ შესძელი.

შენი სპეტაკი, გაუტეხელი, მართალი სული მალე მარადისობაში გადავა, დასახლდება იქ, სადაც არის „სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

პირველ კურსზე, პირველივე ნაშრომში გაგვანდე შენი „რწმენა და ცხოვრების აზრი“, სადაც გაიხსენე თაგორის სიტყვები: „ბალახს არა სურს ბანიანგის ხედ გადაიქცეს...“ ჰოდა, ასეც იცხოვრე — თავმდაბალი, ჩრდილში მდგომი, ერთგული, დაუზარელი, ნიჭიერი, წიგნიერი, ვაჟასა და ილიას შემოქმედებით ნასაზრდოები.

შენ, მართლაც ბალახი იყავ, ოღონდ კლდეზე ამოსული ვაჟას ქუჯი...

**ნაზი აროშიძე**

# პარლამენტმა ცივ იარაღთან რეგულაციები გაამკაცრა!

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტებს, რომლითაც მკაცრდება ცივ იარაღთან დაკავშირებული რეგულაციები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილებებით მკაცრდება ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებული სანქციები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილების თანახმად, ცივი იარაღის ტარება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა, აგრეთვე, სანქციის სახით გათვალისწინებული იქნება ცივი იარაღის კონფისკაცია.

კანონპროექტის თანახმად, ცივი იარაღის ტარების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში კი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება აღნიშნული სამართალდარღვევის ერთი წლის მანძილზე მხოლოდ მესამედ ჩადენის შემთხვევაში.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსში იზრდება სასჯელი ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 2381 მუხლის პირველი ნაწილისთვის, სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით, ნაცვლად 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთისა. ასევე, მკაცრდება პასუხისმგებლობა ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის უკანონო ტარებისათვის — ამ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა ოთხ წლამდე ვადით იქნება დაწესებული.

ინიცირებული კანონპროექტით, ცვლილება შედის ცივი იარაღის ტარების განმარტებაშიც. კერძოდ, ცივი იარაღის ტარებად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი გარემოების არსებობა, როდესაც პირი ცივ იარაღს ფლობს იმგვარად, რომ შესაძლებელია მისი დაუყოვნებლივ გამოყენება.

ზემოხსენებული ცვლილება გამოწვეულია ბოლო პერიოდის პრაქტიკის ანალიზით. კერძოდ, 2022 წლის იანვარ-სექტემბერში გამოვლინდა მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტების მნიშვნელოვან ნაწილში დანაშაულის ჩადენის იარაღს წარმოადგენდა ცივი იარაღი. დანით დანაშაულის ჩადენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 53% მკვლელობა/მკვლელობის მცდელობის ფაქტებში ვლინდება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის იანვარ-სექტემბერში, პოლიციის მიერ, ცივი იარაღის ტარების ყველაზე მეტი — 3289 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოვლინდა, ხოლო 417 ფაქტზე ცივი იარაღის უკანონო ტარებასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

## თემური ცათიაშვილის შეტყობინების თაობაზე

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3-292-22), საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტის განხორციელებისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე თემური ცათიაშვილის (პ/ნ 08001002430) საკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლოსამეურნეო დანიშნულების, 1015 კვ.მ. ფართობის მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.10.27.883), რაზედაც 2022 წლის 29 სექტემბერს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

დეპარტამენტმა, როგორც ექსპროპრიატორმა, დაიწყო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები.

დეპარტამენტი მოქალაქეს სთხოვს მისთვის შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის გადმორიცხვის მიზნით, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა. საბანკო რეკვიზიტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში დეპარტამენტი საკომპენსაციო თანხას განათავსებს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

ამასთან, დეპარტამენტი აფრთხილებს მოქალაქეს, რომ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება დაკავშირებულია გარკვეულ სანოტარო ხარჯებთან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თანხის გამოტანის შემთხვევაში, თანხის გამომტანი მიიღებს თავდაპირველად შეტანილ თანხაზე ნაკლებ თანხას (დაიქვითება სანოტარო ხარჯები).

# სტუდენტთა საერთაშორისო დღე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი ახალგაზრდებს მიმართავს და მათ სტუდენტთა საერთაშორისო დღეს ულოცავს.

**„17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღეა — მინდა, თითოეულ სტუდენტს მივულოცო ეს მნიშვნელოვანი თარიღი, რომელიც უკვე მრავალი წელია მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სტუდენტებზე ზრუნვა და მათთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.**

**მჯერა, მომდევნო წლები თქვენთვის განსაკუთრებული შესაძლებლობებითა და პასუხისმგებლობებით სავსე იქნება. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ თაობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს აშენებს და თქვენი თითოეული გამარჯვებით მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ საქართველოს განვითარებისა და წინსვლის საქმეში. კიდევ ერთხელ გილოცავთ, წარმატებებსა და ნაყოფიერ სტუდენტურ წლებს გისურვებთ!“**, —აცხადებს მიხეილ ჩხენკელი.

**17 ნოემბერს სტუდენტთა საერთაშორისო დღე მსოფლიოში 1946 წლიდან, ხოლო საქართველოში 2009 წლიდან აღინიშნება.**

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ნოდარ ბოლოთაშვილი, ნუგზარ ტაბატაძე სამძიმარს უცხადებენ ზაურ შერგელაშვილს დის

## ლამარა ლავრენტის ასული შერგელაშვილ-ბერიშვილის

გარდაცვალების გამო.

# ჟურნალისტიკა: გვეღირსება კონსტრუქციული ახალი ამბები“?!



**ჟურნალისტიკა ერთნაირი გამოწვევების წინაშე დგას როგორც საქართველოში, ისე დანიაში,** — ამის შესახებ დანიის კონსტრუქციული ინსტიტუტის დამფუძნებელმა, ულრიკ ჰააგერუპმა განაცხადა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მოწვევით, პირველი არხის ჟურნალისტებისთვის ვორქშოპს ატარებს.

ჰააგერუპის თქმით, პირველი არხის ჟურნალისტებისთვის მიმდინარე ვორქშოპზე საუბარი შეეხება საერთო პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს კონსტრუქციული ჟურნალისტიკის საშუალებით.

**„უპირველეს ყოვლისა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ადამიანების ცნობისმოყვარეობამ და გონებაგახსნილობამ, რომელთა მასპინძლობის საშუალება გვქონდა ორჰუსში. ძალიან სახალისო და საინტერესო იყო იმის ნახვა, რომ ჟურნალისტიკა ერთნაირი გამოწვევების წინაშე დგას როგორც თქვენს ქვეყანაში, ისე ჩემსაში და ზოგადად, ყველგან. ჩემზე ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ თქვენ, როგორც კომპანიას, გადაწყვეტილი გაქვთ, რომ გინდათ შეცვლა, წინსვლა და საქმის განსხვავებულად კეთება და ფიქრობთ, რომ ამის საფუძველი შეიძლება, იყოს კონსტრუქციული ჟურნალისტიკა. ჩემთვის ეს დიდი პატივია. მე ასევე ვარ გაკვირვებული და უპირველეს ყოვლისა, მოხარული აქ მყოფი ადამიანების რაოდენობით და მათი დაინტერესებით. ჩვენ ვსაუბრობთ, რა არის ჩვენი საერთო პრობლემები და რატომ არის მნიშვნელოვანი, ვაკეთოთ საქმე ცოტა განსხვავებულად“,** — განაცხადა ულრიკ ჰააგერუპმა.

დანიის კონსტრუქციული ინსტიტუტის დამფუძნებელი და წიგნის „კონსტრუქციული ახალი ამბები“ ავტორი ულრიკ ჰააგერუპი საზოგადოებრივი მაუწყებლის მოწვევით, საქართველოს სტუმრობს.



## კონგრესი — რესპუბლიკელებს, სენატი — დემოკრატებს

**რესპუბლიკურმა პარტიამ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა მოიპოვა. ახლა ისინი გარანტირებულად უკვე 218 მანდატს ფლობენ, რაც უმრავლესობისთვის აუცილებელი მინიმუმი იყო. თუმცა, შუალედური არჩევნების ხმების დათვლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. პროგნოზირებენ, რომ 435-მანდატიან წარმომადგენელთა პალატაში „რესპუბლიკური პარტია“, საბოლოო ჯამში, 223 ადგილს მოიპოვებს. ამ დროისთვის დემოკრატები გარანტირებულად 210 ადგილს ფლობენ.**

რაც შეეხება სენატს, აქ უმრავლესობის შენარჩუნება დემოკრატებმა შეძლეს. ამ დროისთვის მათ უკვე 50 ხმა აქვთ. არჩევნების მეორე ტური ჯორჯიის შტატში უნდა გაიმართოს. თუმცა, მის შედეგს ძალთა ბალანსზე გავლენა აღარ ექნება.



## რამზან კადიროვი ძებნილთა სიაში შეიყვანეს

**უკრაინის უშიშროების სამსახურმა ჩეჩნეთის ხელმძღვანელი, რამზან კადიროვი ძებნილთა სიაში შეიყვანა. უკრაინის შსს-ს ძებნის მონაცემთა ბაზის მიხედვით, სამართალდამცველები მას 2022 წლის 12 სექტემბრიდან ეძებენ.**

ოკუპირებული ჩეჩნეთის მეთაური იძებნება უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მე-3 ნაწილით (უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, რამაც გამოიწვია ადამიანების სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგები) და 437-ე მუხლის მე-2 ნაწილით (დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება და განხორციელება).

## კოსმოსური ხომალდი „ორიონი“ მთვარისკენ გაემართა

**ამერიკულმა კოსმოსურმა სააგენტომ NASA მთვარისკენ რაკეტა SLS-ი გაუშვა, კოსმოსური ხომალდით „ორიონი“.**

რაკეტამ სტარტი ფლორიდაში, კენედის კოსმოსური ცენტრიდან აიღო. მანამდე გაშვება რამდენჯერმე ტექნიკური პრობლემების გამო გადაიდო. „ორიონის“ გაშვება მისიის Artemis 1 ნაწილია. ხომალდი სატესტო, უპილოტო რეჟიმში მთვარისკენ უნდა გაფრინდეს, რამდენიმე კვირა ორბიტაზე გაატაროს და დედამიწაზე დაბრუნდეს. 2024 წელს კი მისიის Artemis 2 ფარგლებში დედამიწის თანამგზავრზე 4 ასტრონავტი გაფრინდება, 2025 წელს კი Artemis 3-ის ფარგლებში ასტრონავტები მთვარის ზედაპირზე გავლენ.

## ეკოაქტივისტები მუზეუმებში ვანდალიზმს განაგრძობენ

**ეკოაქტივისტებმა ავსტრიის დედაქალაქში ცნობილი მხატვრის გუსტავ კლიმტის ტილოს დაზიანება სცადეს.**

ორი ადამიანი ვენაში, ლეოპოლდის მუზეუმში შევიდა, ერთ-ერთმა ტილოს სახელწოდებით „სიკვდილი და სიცოცხლე“ დამცავ მინას ნავთობი შეასხა, მეორემ კი ხელი შუშაზე მიიწება. ასე მათ ნავთობის მოპოვება გააპროტესტეს, რაც დედამიწაზე კლიმატის ცვლილებას იწვევს. აქტივისტები ჯგუფ „უკანასკნელი თაობის“ წევრები არიან.



მუზეუმის ადმინისტრაციის ცნობით, 1915 წელს შექმნილი ტილო არ დაზიანებულა. ამასთან, მუზეუმში განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ აქტივისტების იდეებს, თუმცა არ ეთანხმებიან მათ მეთოდებს. ოქტომბერში, ლონდონში ეკოაქტივისტებმა ვან გოგის „მზესუმზირებს“ ტომატის სუპი შეასხეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი გერმანიაში კლოდ მონეს „თივის ზვინები“ კარტოფილის პიურეთი „შეალამაზეს“. არცერთი ტილო არ დაზიანებულა.

## საუკუნოვანი იუბილე სტრიპტიზ-კლუბში

**ტეხასელ კაცს, რომელიც 100 წლის გახდა, ქალიშვილმა უჩვეულო საჩუქარი მოუმზადა და სტრიპტიზ-კლუბში წაიყვანა.**

ჯოაკინო „ჯეკ“ პომას დაბადების დღე ცოტა ხნის წინ ჰქონდა, თუმცა მისმა ქალიშვილმა დინამ გადაწყვიტა, რომ დედამიწაზე გატარებული საუკუნე განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებდა. მან აღნიშნა, რომ მამამისს ყოველთვის უყვარდა ქალბატონები, ამიტომ ის ადგილობრივ „ჯენტლმენთა კლუბში“ მიიყვანა. წვეულებამ კარგად ჩაიარა და კლუბის მფლობელები ამბობენ, რომ ჯეკის მათ დაწესებულებაში მისვლა ყოველთვის გაუხარდებათ. ჯეკის ცოლი 12 წლის წინ გარდაიცვალა, ამის შემდეგ ის სხვა ქალს ხვდებოდა, მაგრამ ერთი წლის წინ ისიც დაიღუპა.



## საირმის წყალი ევროპაში პირველად გადის

**„საირმის“ უიშვიათესი წყალის ქარხნული წარმოება 1946 წლიდან მიმდინარეობს. თუმცა 1893 წლიდან მისი ჩამოსხმა პრიმიტიული წესით, ფარდულებში მიმდინარეობდა. 2023 წლიდან კი ქართული მინერალური სამკურნალო წყალი დიდ ბრიტანეთში გაიყიდება.**

საირმის მთების ტყეებიდან მომდინარე ეს სამკურნალო წყალი, პირველად მე-19 საუკუნეში მონადირეებმა აღმოაჩინეს. მომავალი წლიდან კი მას კონსერვატორი ინგლისელები დააგემოვნებენ. „საირმეს“ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შემდეგ პირველად დასავლეთ ევროპაში, სწორედ დიდ ბრიტანეთში გაიტანენ. უკრაინაში მიმდინარე ომმა, კომპანია აიძულა სხვა გაყიდვების ბაზარი მოეძებნა. დიდი ბრიტანეთი კი ქართული პროდუქტით ოპერატიულად დაინტერესდა.

სამწუხაროდ, საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი წლიურად 27.8%-ით შემცირდა და ქვეყანამ აღნიშნული საქონლის რეალიზებით 66.7 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო. შესაბამისად, უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეულში მინერალურმა და მტკნარმა წყლებმა 1.9%-იანი წილით, მე-9 ადგილი დაიკავა. როცა გასული წლის ამავე პერიოდში მე-6 ადგილს იკავებდა... ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მინერალური წყალი ინგლისის გარდა სხვა ქვეყნებსაც დაიპყრობს და რეალიზაციაც თანდათან მოიმატებს.

## ადამიანი — ბუნების მტერი

**ბოლო წლების განმავლობაში კაცობრიობა რომ დაუნდობლად ექცევა გარესამყაროს, ახალი ხილი არ გახლავთ. როგორც ირკვევა, გარეული ცხოველების რაოდენობა დედამიწაზე კატასტროფულად იკლებს..**

1970 წლიდან გარეულ ცხოველთა პოპულაცია მსოფლიოში 69%-ით შემცირდა, ყოველწლიურად კი დედამიწაზე მათი რაოდენობა 2,5%-ით იკლებს. ამის შესახებ ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF) საკუთარ ანგარიშში წერს. ამის მთავარ მიზეზად ექსპერტები ტყეების განადგურებას, ოკეანის დაბინძურებას და კლიმატის ცვლილებას ასახელებენ.

ყველაზე მეტად ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ბინადრები დაზარალდნენ, სადაც 50 წლის განმავლობაში პოპულაციები 94%-ით შემცირდა. ფონდი მოუწოდებს განვითარებულ ქვეყნებს, დედამიწის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პროგრამებზე მეტი ფული გამოყონ და როგორმე შეაჩერონ ეს საგანგაშო სტატისტიკა.

**რუსუდან ქობულია**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 21 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7396; ევრო - 2.8563
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2664;
100 რუბლი - 4.5232; თურქული ლირა - 0.1472;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6145;
1000 სომხური დრამი - 6.9313.

**ამინდი 18 ნოემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე +16 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +15 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე +18 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge